აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№2 (25.180) 24 იანვარი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 9-14, მთიან რაიონებში - 2-7 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 767 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

მიზანი – ბათუმის სანაპირო ზოლის შენარჩუნება

ბათუმში, ახალი ბულვარის მიმდებარედ, შავი ზღვის სანაპირო ზოლის, აეროპორტის ასაფრენი ბილიკისა და ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები განხორციელდა.

გათვალისწინებულია ასევე, მდინარე ჭოროხის კალაპოტში არსებული წინასწარ შერჩეული კარიერიდან 110 000 კუბური მეტრი პლაჟწარმომქმნელი ქვიშახრეშოვანი მასალის ტრანსპორტირება და შესაბამის უბნებში რეცხვადი ბერმის მოწყობა.

სამუშაოებს ბათუმის ვიცე-მერი ნუკრი დეკანაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ბათუმის ბულვარის დირექტორი ლაშა მიქელაძე და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბათუმის მერია პარალელურად ახორციელებს პროექტს, რომელიც ახალ ბულვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული საფეხმავლო ბილიკის აღდგენასა და ზღვაში გამსვლელი სანიაღვრე კოლექტორების შტორმისგან დამცავი სარეგულაციო კედლების მშენებლობას ითვალისწინებს.

ამ ეტაპისთვის, უკვე მოწყობილია რკინა-ბეტონის სარეგულაციო კედლები. კონკრეტულ მონაკვეთზე დასრულებულია გრუნტის მოხსნა, ბორდიურის მოწყობა და იწყება მოსამზადებელი სამუშაოები ბეჭდური ბეტონის დასაგებად. განხორციელდება არსებული სკამებისა და შეზლონგების დემონტაჟი-მონტაჟი, ასევე, ბეტონის ახალი სკამების მონტაჟი. დაზიანებული სანაგვე ურნების ნაცვლად განთავსდება ახალი ურნები და სრულად განახლდება 700 მეტრი სიგრძის დაზიანებული საფეხმავლო ბილიკი.

სამუშაოებისთვის, რომელიც 2024 წლის აგვისტოში დაიწყო და მიმდინარე წლის მარტამდე უნდა დასრულდეს, 2 365 633,19 ლარია გათვალისწინებული. როგორც მერიაში აცხადებენ, უწყებამ უკვე განახორციელა ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ტალღამრიდები, რკინა-ბეტონის სარტყელი, ნაპირზე ჩასასვლელი კიბეები და პანდუსები. სრულად აღდგენილია პრომენადის დაზიანებული ინფრასტრუქტურა.

ახალი ბულვარის მიმდებარედ ნაპირსამაგრი და სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოებისთვის 15 658 966 ლარი იყო გათვალისწინებული.

ბათუმს კიდევ ერთი ახალი რეკრეაციული სივრცე შეემატა

მამია ვარშანიძის ქუჩის №71-ში ახალი დასასვენებელი სივრცე მოეწყო. სრულად განახლდა და მოწესრიგდა ტერიტორია, გაკეთდა ბავშვთა გასართობი, სპორტული და მოსასვენებელი ზონები, დამონტაჟდა გარეგანათებისა და სანიაღვრე სისტემები, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები და განთავსდა საპარკო ინფრასტრუქტურა. ახალ სივრცეში ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის დასვენებისა და გართობის საუკეთესო პირობებია შექმნილი.

სამუშაოებისთვის მილიონ-ნახევარი ლარი იყო გათვალისწინებული. პარალელურად მიმდინარეობს მამია ვარშანიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. ახალი რეკრეაციული სივრცე ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რამაზ ჯინჭარაძესთან და მერიის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, 2024 წელს სკვერის მიმდებარედ მუნიციპალური დროებითი ღამის თავშესაფრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დასრულდა, სადაც ბენეფიციარებს კომფორტულ გარემოში მიეწოდებათ სხვადასხვა სახის სერვისები, რეკრეაციული სივრცეების შექმნა და განვითარება კი ქალაქისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ კუთხით მუნიციპალიტეტი აქტიურად განაგრძობს მუშაობას.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, 2025 წელს ბათუმში 19 ახალი რეკრეაციული სივრცე მოეწყობა, ხუთს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ახალი რექტორი, უწყვეტი პროტესტი და საქართველოს საკითხი – ევროპარლამენტში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

უკვე 58 დღეა, რაც ქვეყნის მასშტაბით უწყვეტი პროტესტი მიმდინარეობს, რომლის მთავარი ადრესატი მმართველი გუნდია. აქციის მონაწილეები ითხოვენ ახალი არჩევნების ჩატარებას და აქციებზე დაკავებული ადამიანების გათავისუფლებას. მათი თქმით, ისინი ბოლომდე იბრძოლებენ. პროტესტის ერთ-ერთ მთავარ ეპიცენტრად კვლავ ბათუმი რჩება

მიმდინარე კვირის განმავლობაში აქცია გაიმართა სხვადასხვა დაწესებულებასთან, მათ შორის აჭარის მთავრობის სახლთან. ეს ის ადგილია, სადაც თითქმის ყოველდღე იკრიბებიან მოქალაქეები და გამოხატავენ საკუთარ აზრსა და პოზიციას.

აქცია იყო ბათუმში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან, სადაც ჟურნალისტები შეიკრიბნენ და „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ, მზია ამაღლობელის გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

პროტესტი მიმდინარეობდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტშიც, სადაც სტუდენტები ღამეს ახლაც ათენებენ. ისინი კვლავ მოითხოვენ ლექტორისა და სტუდენტების გათავისუფლებას, რომლებიც ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით არიან დაკავებულები.

ამასობაში, პროტესტის ფონზე ჩაიარა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებმაც. მასში ორი კანდიდატი - ტიტე აროშიძე (ეკონომიკის დოქტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე) და არჩილ გუჩმანიძე (ბიოლოგიის დოქტორი, ასოციაცია „ფლორა და ფაუნას" გამგეობის თავმჯდომარე) მონაწილეობდნენ.

როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ საკუთარ ფეისბუქგვერდზე აღნიშნა, კენჭისყრის დაწყებამდე რექტორობის კანდიდატებმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს სამოქმედო გეგმები გააცნეს.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უმრავლესობამ მხარი ტიტე აროშიძეს დაუჭირა. არჩევნების პარალელურად ხმაური იყო უნივერსიტეტის დერეფანში, სადაც სტუდენტების ნაწილი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად აქციას მართავდა და უკმაყოფილებას კარებზე ბრახუნით გამოხატავდა.

აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ და სტუდენტმა არჩილ ბერიძემ აღნიშნა, რომ ბსუ-ის რექტორის არჩევნები ჩატარდა წინასწარ დაწერილი სცენარით და ამ სცენარის მიხედვით უნივერსიტეტი „გასუსდა“.

ახლად არჩეულმა რექტორმა მედიასთან კომენტარი გააკეთა, სადაც მკაფიოდ თქვა, რომ იგი სამსახურებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი იქნება.

„შევეცდები, რომ უნივერსიტეტი იყოს დაბალანსებული, ლექტორსა და სტუდენტს თანაბარი პირობები ჰქონდეთ სწავლისა და განვითარებისთვის. სტუდენტების ინტერესი ყველა დონეზე იქნება გათვალისწინებული“, - განაცხადა ტიტე აროშიძემ.

მიმდინარე კვირაში ევროპარლამენტში საქართველოს ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით დებატები გაიმართა, საიდანაც საქართველოს მიმართ მკაცრი გზავნილები გაუღერდა, თუმცა იყო იმის აღნიშვნაც, რომ საქართველო ევროკავშირს სჭირდება.

„კომისიასა და საბჭოს ვთხოვ, რომ თავიანთი საქმე შეასრულონ. თქვენ ქართველ ხალხს მხარი უნდა დაუჭიროთ. საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა და ჩვენ ის გვჭირდება“, - განაცხადა ევროპარლამენტარმა მიჰალ შჩერბამ.

შინაგან საქმეთა და მიგრაციის ევროკომისარმა მაგნუს ბრუნერმა ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე ხაზი გაუსვა საქართველოში ახალი არჩევნების ჩატარების მნიშვნელობას.

„მოვუწოდებთ საქართველოს ოფიციალურ პირებს, მიიღონ ეუთოს არჩევნების შესახებ საბოლოო ანგარიშში გამოქვეყნებული რეკომენდაციები და ყველა ვარიანტი განიხილონ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის აღსადგენად. რა თქმა უნდა, ყველა პოლიტიკურ ძალასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგში, მათ შორის, განიხილონ ახალი არჩევნების ჩატარებისკენ საქართველოს საზოგადოების მოწოდება“ - აღნიშნა მაგნუს ბრუნერმა.

ევროპარლამენტარმა დანილო დე ლა ვალემ კი აღნიშნა, რომ საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევნები სწორად ჩატარდა.

„საქართველოში ეუთომ შეძლო იმის დადასტურება, რომ არჩევნები, საერთო ჯამში, სწორად ჩატარდა. ეს არ უარყოფს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და ჩვენ დავგმეთ რამდენიმე კანონი, რომელსაც არ ვეთანხმებით. მაგრამ, ამავე დროს, მიუღებელია ევროპული ელიტების სურვილი, შეცვალონ არჩევნების შედეგი, როდესაც ეს არ ემთხვევა ნატოს საგარეო პოლიტიკის არჩევანს. პრეზიდენტის ლეგიტიმაციამდეც კი მივდივართ, მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლებამოსილების ვადა, კანონის თანახმად, ამოიწურა“, - აღნიშნა დანილო დე ლა ვალემ.

ევროპარლამენტში გამართულ დებატებს შეფასებები მოჰყვა საქართველოშიც.

მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ ევროპარლამენტის კრიტიკას ძალა არ გააჩნია.

„ამ არაფრისმომცემ, აბსურდულ რეზოლუციებს, განცხადებებს, კრიტიკას, რასაც ევროპარლამენტიდან ვისმენთ, არანაირი მნიშვნელობა და ძალა არ გააჩნია. სრულიად სცდება დღევანდელი ევროპარლამენტი იმ გამოწვევებს, რაც მსოფლიოში არსებობს. კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებით არიან აბსოლუტურად აცდენილები რაციონალიზმის საფუძვლებს და ნიადაგს. ჩვენთვის აბსურდულ კრიტიკას, რომელსაც წინ ხუთი აბსურდული რეზოლუცია უსწრებდა, არანაირი ფასი და ღირებულება არ გააჩნია“, - განაცხადა უმრავლესობის წევრმა დავით მათიკაშვილმა.

ოპოზიციაში კი ამბობენ, რომ ევროპარლამენტარებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ როგორი რეჟიმია დღეს საქართველოში.

„ევროპარლამენტარებმა ხაზი გაუსვეს, რა რეჟიმთან გვაქვს საქმე და რას ებრძვის ქართველი ხალხი. გამოსვლებში ხაზგასმული იყო საქართველოში დემოკრატიისა და ქართველი ხალხის მხარდაჭერის მნიშვნელობა. შესაბამისად, რაც უფრო გაიზრდება ხელისუფლების მხრიდან ბრუტალური მოქმედებები, მით უფრო გაძლიერდება საერთაშორისო ზეწოლაც ხელისუფლებაზე“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აღმასრულებელმა მდივანმა ბერდია სიჭინავამ.

ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ბათუმში აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ კონსულ ფუად აზიზოვთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. მან დიპლომატს რეგიონის ტურისტული პოტენციალი და საინვესტიციო გარემო გააცნო. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს, რომელიც კულტურულ-ჰუმანიტარულ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებს მოიცავს. თორნიკე რიჟვაძემ ფუად აზიზოვს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და არსებული მრავალმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების იმედი გამოთქვა.

* * *

ახალ სპორტულ კომპლექსში ოლიმპიური სტანდარტების 1500 მაყურებელზე გათვლილი ყინულის მოედანი და 800 მაყურებელზე გათვლილი 10-ზოლიანი, 2,1 მეტრი სიმაღლის საცურაო აუზი ეწყობა. ამ ეტაპზე ყინულის მოედნის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა და მიმდინარეობს მოპირკეთება. კომპლექსში, ფიგურულ და ციგურებზე მასობრივ სრიალში, ასევე ყინულის და საწყლოსნო სპორტულ სახეობებში, საერთაშორისო შეჯიბრებები ჩატარდება. ყინულის არენა 2025 წლის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიადას უმასპინძლებს. პარალელურად, მიმდინარეობს ახალი, თანამედროვე სტანდარტების საცურაო აუზის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება.

* * *

ბათუმში ფსიქიკური აშლილობის მქონე მოქალაქემ სამ პატრულ-ინსპექტორს სხეულის სხვადასხვა არეში დანით ჭრილობები მიაყენა. „მიმდინარე წლის 20 იანვარს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში შემოვიდა შეტყობინება ბათუმში, კომახიძის ქუჩაზე მყოფ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოქალაქესთან დაკავშირებით. შეტყობინების საფუძველზე, ადგილზე გამოცხადდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, რა დროსაც ფსიქიკურად დაავადებული პირი - 1998 წელს დაბადებული გ.ნ. თან ნაქონი დანით მათ მოულოდნელად თავს დაესხა. გ.ნ.-მ მისი განიარაღებისა და დაკავების პროცესში სამ პატრულ-ინსპექტორს სხეულის სხვადასხვა არეში დანის გამოყენებით ჭრილობები მიაყენა. სამართალდამცველებმა გ.ნ. ბრალდებულის სახით ადგილზე დააკავეს. დაშავებული პატრულ-ინსპექტორები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ. სამივე მათგანი ამ დრომდე კლინიკაში რჩება. პოლიციაზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს“, - აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

* * *

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად არჩეულ რექტორ ტიტე აროშიძეს აჭარის უმაღლეს საბჭოში, სავარაუდოდ, ლაშა სირაბიძე ჩაანაცვლებს. კანონმდებლობის შესაბამისად, რეგიონის საკანონმდებლო ორგანოში ტიტე აროშიძის ადგილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მომდევნო წევრმა უნდა დაიკავოს, ასეთი კი ლაშა სირაბიძეა. აჭარის უმაღლეს საბჭოში ადგილმონაცვლე დეპუტატის შესვლამდე, კანონმდებლებმა ტიტე აროშიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტაზე უნდა იმსჯელონ. პროცედურების დასაწყებად უმაღლეს საბჭოში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან შესაბამის დოკუმენტაციას ელოდებიან, რის შემდეგაც, რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, ტიტე აროშიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს დააყენებენ. ვინ გადაიბარებს ტიტე აროშიძის მანდატს, ამას უკვე უმაღლესი საარჩევნო კომისია გაარკვევს.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ და მინისტრის პირველმა მოადგილე მარი ზანაქიძემ წმ. ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანის ბინადრები მოინახულეს. „სამინისტრომ ერთგვარ ტრადიციად დანერგა სავანეში მრავალპროფილური პროფილაქტიკური სამედიცინო აქციის ორგანიზება. საჭიროების მიხედვით, იგეგმება სხვადასხვა ექიმის კონსულტაცია და კვლევები. ამჯერად შედგა ქირურგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ნევროპათოლოგის და რადიოლოგის ვიზიტი. ჩვენ მზად ვართ, კომპეტენციის ფარგლებში, სავანეს სრული მხარდაჭერა გამოვუცხადოთ შემდგომშიც“, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ. საშუალოვადიანი პრიორიტეტების ფარგლებში, სამინისტრო გეგმავს ახალი პროგრამის „მოხუცთა დღის ცენტრის“ ამოქმედებას. პროექტი, სრულფასოვანი კომპლექსური ღონისძიებებით, ხელს შეუწყობს ასაკოვანი ადამიანების ჩართვას სოციალურ აქტივობებში, დაეხმარება მათ თვითრეალიზაციას ახალ გარემოში. სამედიცინო აქციაში ამჯერად კლინიკა „მედფემის“ და ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკის ექიმები მონაწილეობდნენ.

* * *

20 იანვარს „ტვ 25“-მა განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ 01 იანვრიდან არხზე საინფორმაციო გამოშვებები და პოლიტიკური თოქშოუები შეჩერებულია. „პირველ რიგში, „ტვ 25“-ის დიდი მხარდაჭერა გამოცემა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელსა და დირექტორს მზია ამაღლობელს. „ტვ 25“-ის დიდი მხარდაჭერა ყველა პოლიტპატიმარს. მოგეხსენებათ, 2025 წლის 01 იანვრიდან „ტვ 25“-ის საინფორმაციო გამოშვებები და პოლიტიკური თოქშოუები შეჩერებულია. შეჩერებულია „ტვ-25“-ის ვებგვერდი და ყველა სოციალური პლატფორმა. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა, რათა არხმა დროულად შეძლოს, დაუბრუნდეს სრულყოფილი მაუწყებლობის რეჟიმს. იმედს ვიტოვებთ, რომ ძალიან მალე დაგიბრუნდებით. ბოდიშს ვუხდით ჩვენს მაყურებელს და საზოგადოებას, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ჩვენ ვერ ვიცავთ თქვენს ინტერესებს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

„სოკარ ჯორჯია გაზი აჭარას“ - ბათუმისა და ხელვაჩაურის სერვისცენტრების დაახლოებით 250-მდე თანამშრომელი გაიფიცა. ისინი ხელფასის 50%-მდე გაზრდას ითხოვენ. ამბობენ, რომ მათი უფლებები ირღვევა, სამუშაო ძალიან ბევრია, ანაზღაურება კი შეუსაბამოდ დაბალი. „ვითხოვთ ხელფასის ზრდას. ძალიან ბევრი აბონენტი გვყავს და შესაბამისად, სამუშაოც ბევრია, ხელფასი - შეუსაბამოდ დაბალი. კომპანიას ხელფასის მატების თაობაზე წერილობითაც მივმართეთ. პასუხად გვითხრეს, რომ 2026 წლამდე ხელფასს არ მოგვიმატებდნენ. ამიტომ გავიფიცეთ და ვიხსნით ყველანაირ ვალდებულებას. ვითხოვთ დაახლოებით 50%-მდე ხელფასის მატებას. 1080 ლარია ჩვენი ხელფასი, რაც ძალიან ცოტაა. ჩვენ მენეჯმენტსაც მივმართეთ, რომ თუ ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდებოდა, გავიფიცებოდით“, - აცხადებს კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი. კომპანიის წარმომადგენლები გაფიცულ თანამშრომლებს შეხვდნენ და განუმარტეს, რომ ამ ეტაპზე ხელფასების ზრდა ვერ მოხერხდება. გაფიცული თანამშრომლები ამბობენ, რომ მოთხოვნის შესრულებამდე გაფიცვის რეჟიმში რჩებიან და არც იმას გამორიცხავენ, რომ სხვა რეგიონებიდან კოლეგებიც შეუერთდნენ.

* * *

ბათუმის „დინამო“ თურქეთში იმყოფება, სადაც 15 თებერვლამდე დარჩება. გუნდი ანტალიაში ახალი სეზონისთვის ემზადება. ცნობილია, რომ მასში საკადრო ცვლილებებია. ბათუმელებთან კონტრაქტი დაუსრულდა ალეფ სანტოსს, რომელმაც „დინამო“ დატოვა. 28 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ანდრეი დემჩენკოს ხელმძღვანელობით, ბათუმში გორის „დილადან“ იყო გადმოსული და გუნდში მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა. სანტოსი კარიერას სომხეთში, ერევნის „ურარტუში“ გააგრძელებს. „დინამოში“ აღარ ითამაშებს ონორე გომისიც, რომელიც გუნდის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე იყო. გომისმა კარიერა ბელარუსში გააგრძელა და კონტრაქტი „ვიტებსკთან“ გააფორმა. გუნდმა ახალი ფეხბურთელი დაიმატა - კირილო მელიჩენკო. 25 წლის უკრაინელი მარჯვენა მცველი კიროვოგრადელია და კიევის „არსენალის“ აკადემიაში ვარჯიშობდა. 2017 წელს იგი დონეცკის „შახტარში“ მიიწვიეს, სადაც ახალგაზრდულ გუნდში ასპარეზობდა. 2020 წლის აგვისტოში, ერთწლიანი იჯარით, უკრაინის პრემიერლიგის ახალწვეულ „მინაიში“ ჩაირიცხა. ამის შემდეგ მელიჩენკო „მარიუპოლში“ გადავიდა, ხოლო 2022 წელს დრეზდენის „დინამოს“ წევრი გახდა.

მამუკა არეშიძე: არ უნდა დავუშვათ აჭარაში დაბალანსებული ვითარების შეცვლა

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

საქართველოს სამი მეზობელი ქვეყანა შეიარაღებული კონფლიქტის წინაშე დგას. სომხეთ-აზერბაიჯანის და თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები ამ საფრთხეს აშკარას ხდის. ამ თემაზე გაზეთ „აჭარასთან“ საუბრობს პოლიტიკის ექსპერტი მამუკა არეშიძე. ის ასევე, აკომენტარებს ბათუმში მიმდინარე საპროტესტო აქციებს, რომლის მსვლელობისას დააპატიმრეს გაზეთ „ბათუმელების“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი მზია ამაღლობელი

- როგორც მსოფლიოს ძირითად გეოპოლიტიკურ სივრცეებში, ამიერკავკასიაშიც ბალანსი დარღვეულია. თამაშის წესებს აღარც მსხვილი და აღარც წვრილი მოთამაშეები იცავენ. აქედან გამომდინარე, ყოველი მათგანი ცდილობს, რაც შეიძლება უკეთესი მდგომარეობა შეიქმნას იმ მომენტისთვის, როდესაც დაიწყება მსოფლიოს ახალი წესრიგის მოდელის ჩამოყალიბება, - აცხადებს ექსპერტი. მისი თქმით: აზერბაიჯანი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა სამხრეთ კავკასიაში როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, რის საფუძველზეც მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მიიღოს ის, რაც სჭირდება მოცემულ რეალობაში. კერძოდ, საუბარია 2021 წლის ნოემბერში დადებულ ყარაბაღის ომის შემდგომ ხელშეკრულებაზე. აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანია ზანგეზურის კორიდორის სრული კონტროლი. ეს დერეფანი გადის სამხრეთ სომხეთის ტერიტორიაზე და სახმელეთო გზით შეუძლია თურქეთის აზერბაიჯანთან დაკავშირება. ზემოთ ნახსენებ დოკუმენტში ბუნდოვანია ის მუხლი, რომელიც ეხება ზანგეზურს, კერძოდ, წერია, რომ ეს კორიდორი უნდა გაკონტროლოს მესამე ქვეყანამ, თუმცა რომელმა, დაუკონკრეტებელია. სწორედ ამის გამო არის ატეხილი ჭიდაობა მსხვილ და წვრილ მოთამაშეებს შორის. რუსეთს უნდა, თავად გაკონტროლოს, იგივე პრეტენზია აქვს თურქეთს. სომხეთსაც, ცხადია, იგივე სურს, აზერბაიჯანი კი პოზიციებს არ თმობს. იქ, ასევე, მიმდინარეობს დანარჩენი საზღვრის დემარკაციის პროცესიც, რომელშიც აზერბაიჯანი ძალიან ხისტად იქცევა. მოკლედ რომ ვთქვათ, ექსპერტების აზრით, თუ სომხეთმა არ მიიღო სწორი გადაწყვეტილება ზანგეზურის კორიდორის შესახებ, მაშინ მისი სახელმწიფოებრიობის საკითხი მსოფლიოს დღის წესრიგში ძალიან მწვავედ დადგება. საბოლოო პასუხი კითხვაზე ასეთია: დღეს ეს საკვანძო თემა გახდა და თუ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებაში არ ჩაერივნენ მსხვილი მოთამაშეები, არ მოილაპარაკეს ერთმანეთში, საკითხი მარტივად რომ არ გადაწყდება - ფაქტია. აქ საფრანგეთი ვერ წყვეტს ვერაფერს. მართალია, ისიც მსხვილ მოთამაშედ ითვლება, მაგრამ ვერ არის ავტორიტეტული ვერც აზერბაიჯანის და ვერც სომხეთისთვის. ავტორიტეტებად, ამ შემთხვევაში, ითვლება მხოლოდ ანგლოსაქსური ქვეყნები, ხოლო პრობლემის მოგვარება მხოლოდ აშშ-ის და რუსეთის გარიგებაზე იქნება დამოკიდებული, - გვითხრა ექსპერტმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა სომხეთს „ფაშისტური სახელმწიფო“ უწოდა, რაც ნიკოლ ფაშინიანმა ესკალაციის შესაძლო მუქარად აღიქვა. ამასთან დაკავშირებით მამუკა არეშიძე თვლის:

- ეს ტექსტი გარე მოხმარებისთვის უფროა გამიზნული. სომხეთის ხელისუფლება არანაირი ფაშისტური რეჟიმი არ არის. ზოგიერთ სახელმწიფოს ხელს არ აძლევს ზანგეზურის იმ პრინციპით ამუშავება, როგორც დოკუმენტშია, უპირველესად - რუსეთსა და ირანს, ამიტომ ალიევის განცხადება, რომ „სომხეთი ფაშისტური სახელმწიფოა“ და ის „საფრთხეა რეგიონისთვის“ იმას უკავშირდება, რომ მას სურდა, ერთი მხრივ, რუსეთისთვის ესიამოვნებინა, ხოლო, მეორე მხრივ, გაეფრთხილებინა დასავლეთი, რომ არ შეურიგდება შექმნილ ვითარებას და აუცილებლად გააგრძელებს ზეწოლას, რათა მიიღოს ზანგეზურის კორიდორი. ალიევი იმ კატეგორიის პოლიტიკოსია, რომელიც კარგად იყენებს აღმოსავლური დიპლომატიის ინსტრუმენტებს - ერთდროულად თამაშობს რამდენიმე ფრონტზე.

ექსპერტი პარალელს ავლებს თურქეთის ლიდერთან:

- ალიევი ერდოღანს ბაძავს, ეს მისი დამახასიათებელი თვისებაა, აზერბაიჯანის მეთაური ცდილობს, იგივე მეთოდები გამოიყენოს და გამოსდის კიდეც. ალიევი ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ არის, ასწრებს გეოპოლიტიკური გამოწვევის გაჩენას. 2022 წელს შეარჩია ისეთი მომენტი, როდესაც რუსეთს უკრაინაში ომის გამო არ ეცალა. ამასთან, მოსკოვი უაღრესად გაბრაზებული იყო ფაშინიანის პოლიტიკურ ნარატივზე. შემდეგ პერიოდებშიც ის ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რომ ნაწყენი რუსეთი აზერბაიჯანისკენ მიბრუნებულიყო. მაგალითად, პუტინის ბაქოში ბოლო ვიზიტის შემდეგ აზერბაიჯანმა დაიწყო რუსული ენერგომატარებლების, როგორც აზერბაიჯანულის, გატარება თავის მილებში, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზეც - ენერგოტრასებში. თუმცა ორ ქვეყანას შორის კულუარული თანამშრომლობა არ არის მთლად სანდო. რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო კორიდორი, რომელიც პეტერბურგიდან ინდოეთში - დელიში მიდის. ეს გზა რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე გადის, მათ შორის აზერბაიჯანის, რის გამოც, რაც დრო გადის, აზერბაიჯანი თავს სიტუაციის მაკონტროლებლად გრძნობს. ამ გზის ფართომასშტაბიანი ამუშავება უახლოესი მომავლის საკითხია, რადგან ცოტა ხნის წინ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ინდოეთს ხანგრძლივი პერიოდით გადაეცა ერთ-ერთი ირანული პორტი, რომელიც ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო კორიდორის ბოლო წერტილი იქნება ირანის ტერიტორიაზე და საიდანაც საზღვაო მარშრუტით ტვირთი ინდოეთში უნდა წავიდეს. როდესაც ფაშინიანმა პოლიტიკური აქტიურობა დაიწყო, მაშინვე ჩანდა, რომ მოსკოვს ზურგს შეაქცევდა. რაც შეეხება კრემლს, რუსეთის პოლიტიკა ყოველთვის დაფუძნებული იყო ძალაზე და არა ჭკუაზე. კრემლისთვის მთავარი იყო, მოკავშირე ქვეყნებში ჰყოლოდა თავისი მთავრობა, თუნდაც კაცისმკვლელი და კორუფციაში ჩაძირული. საბოლოოდ, ამან გამოიწვია ის, რომ ჯერ გადაიმტერა ქართველები, მერე სომხები, დიდი ბზარი გააჩინა აზერბაიჯანთან ურთიერთობაში, ბოლოს კი ფეხი ამოიკვეთა სამხრეთკავკასიური პოლიტიკიდან. ახლა რუსეთი გააფთრებით ცდილობს დაბრუნებას. ბრძოლა მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორების გამო - ეს არის შავი ზღვა, სავაჭრო კორიდორები და ის რესურსები, რომლებიც ცენტრალურ აზიაშია. რუსეთი არ შეეგუება სამხრეთ კავკასიის თურქეთის მიერ გაკონტროლებას. რაც უნდა აქტიური იყოს დღეს ერევანში დასავლეთი, მაინც ვერ შეაკავებს რუსეთს, სამხრეთ კავკასიაში დაბრუნდეს დიპლომატიურად თუ სამხედრო ძალით.

იმაზე, თუ რამდენად შეეხება საქართველოს ეს კონფლიქტი, ექსპერტი ფიქრობს, რომ საქართველო ძალიან გაურკვეველ სიტუაციაშია, რადგან ამ ეტაპზე ხილული მოკავშირე არ ჰყავს:

- ვგულისხმობ ძლიერ მოკავშირეს. ფაქტია, რომ არც აშშ და არც რუსეთი ასე მარტივად საქართველოს არ შეელევიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმესთან ხილულ პარტნიორულ რეჟიმში ვართ, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა არ არის გაწყვეტილი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკურად საქართველო ყველაზე სუსტია ამიერკავკასიაში, რასაც ემატება დაკარგული ტერიტორიები. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივა - სამივე ქვეყანა ჩაერთოს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში განსაკუთრებული ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმატით, რათა თავად იზრუნონ რეგიონის უსაფრთხოებაზე, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... გარდა ამისა, ერთიც უნდა გავითვალისწინოთ სამომავლოდ, რომ სუსტი ქვეყნის მიმართ, თუ ახლა არა, შემდგომ აუცილებლად გაჩნდება ტერიტორიული თუ სხვა პრეტენზიები. თუ მტკიცე პოზიცია არ დააფიქსირე და საცეცები არ გამოაჩინე, როგორც წესი, მეზობლები მოინდომებენ შენი სისუსტით სარგებლობას. ეს არის აქსიომა, მით უმეტეს - პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, ვასკვნი, რომ საქართველოს მდგომარეობა საკმაოდ რთულია.

რაც შეეხება ტრამპის ინაუგურაციის შემდგომ გადაწყვეტილებების მოლოდინს:

- ველოდებით, რადგან იმით, რაც გააჟღერა ახალი ტერიტორიების მიერთების თაობაზე (გრენლანდია, კანადა, პანამის არხი), მსოფლიოსთვის სახიფათო გარემოს შექმნას აანონსებს, ყველაფერი ზემოთქმულის რეალიზების შემთხვევაში კი უაღრესად რთული გახდება ზოგიერთი ჩვენი მეზობლის შეჩერება, რადგან ყველა იმოქმედებს დევიზით: „რაც მისთვის შეიძლება, მე ვინ ამიკრძალავს?!“. აქ მე რუსეთი ვიგულისხმე, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზერბაიჯანში ექსპერტების და მედიის დონეზე აქტიურად განიხილება საკითხი, რატომ არ უნდა იყოს სამხრეთ აზერბაიჯანი დიდი აზერბაიჯანის შემადგენლობაში, ანუ ირანის აზერბაიჯანზეა აქ ლაპარაკი, რაც ირანთან, ქალაქ თავრიზზე პრეტენზიას უკავშირდება. ამიტომ დაიძაბა ამ ორ სახელმწიფოს შორის ვითარება, ამიტომ არის თეირანი ცალსახად სომხეთის მხარეს და ზანგეზურის კორიდორზე აზერბაიჯან-თურქეთის კონტროლს მაქსიმალურად ეწინააღმდეგება.

ექსპერტი გვესაუბრება თურქეთ-ისრაელის სავარაუდო კონფლიქტზეც:

- თურქეთი მაქსიმალურად ცდილობს სირიაზე კონტროლის აღდგენას. ამ ტერმინს იყენებს თურქული მედიის ნაციონალისტური ნაწილი იმ კონტექსტში, რომ ხდება ოსმალური იმპერიის გავლენის აღდგენა, რაც ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პირველი მთავარი გზავნილი იყო. ამ შემთხვევაში არ იგულისხმებოდა ტერიტორიების დაკავება, მხოლოდ კონტროლზე ჰქონდა საუბარი. სირია, თუ გახსოვთ, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. დღეს თურქეთი, პრაქტიკულად, აკონტროლებს ჩრდილოეთ სირიის დიდ ნაწილს და სურს უფრო მეტი, რადგან სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებულია ამერიკელების მიერ მხარდაჭერილი ქურთული სამხედრო კონტინგენტი, რომელთანაც გამწარებული ომობს. უკვე კარგად ჩანს, რომ თურქეთი ღრმად ჩაეფლო სირიის პრობლემებში. შესაძლოა, ხელოვნურადაც მოხდა დიდი რესურსის დახარჯვა სირიაში, რითაც გაზარდა გავლენა ამ რეგიონში. ყველაფერი ეს აახლოებს ერდოღანს ისრაელის ინტერესების სფეროსთან. უკვე აშკარად ჩანს, რომ რაღაც მომენტში თურქეთი პირისპირ აღმოჩნდება ისრაელთან, რომელიც ამჟამად სირიის სამხრეთს აკონტროლებს. ამასთან, დამასკოში ზის თურქეთის მიერ ხელდასხმული ისლამისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რომლის წარმოჩენას დასავლეთი ცდილობს ზომიერ ისლამისტებად. სხვათა შორის, ტერმინი „ზომიერი ისლამისტი“ არის იდიოტიზმი. ისლამისტი ან არის, ან არ არის, ზომიერი ის ვერანაირად ვერ იქნება. აქედან ვასკვნი, რომ დასავლეთი, როგორც ყოველთვის, ახლაც წამგებიან თამაშს თამაშობს ახლო აღმოსავლეთში, სახელების დარქმევით ცდილობს შეცვალოს ის შინაარსი, რომლის შეცვლაც წარმოუდგენელია... მოკლედ, როდესაც თურქეთი აღმოჩდება ისრაელის პირისპირ, უკვე გასაგებია, ამას რაც მოჰყვება - თურქეთი არ დაუშვებს ისრაელის დომინირებას სირიაში.

რა მოხდება, თუ ტრამპი ჩაერევა ამიერკავკასიის პოლიტიკაში? - ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტი თვლის, რომ:

- აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის ინტერესები თუ შენარჩუნდა შავი ზღვის და სამხრეთ კავკასიის მიმართ, აზერბაიჯანი სომხეთთან შეიარაღებულ კონფლიქტს ვერ გაბედავს, მაგრამ არავინ იცის, ტრამპი რას გადაწყვეტს. იგი ხან ერთს ამბობს, ხან - მეორეს. ჯერ აცხადებს, რომ კონცენტრირებული იქნება ამერიკის კონტინენტის უსაფრთხოებასა და შიდა პრობლემების მოგვარებაზე ტერიტორიების მიერთების გზით, უკრაინის ომის დასრულებაზეც საუბრობს, მაგრამ ტაივანის პრობლემა გადაწია უკანა პლანზე... რამდენიმე დღის წინ ახალ ადმინისტრაციაში უკვე მოხდა სერიოზული კონფლიქტი გლობალისტებსა და იზოლაციონისტებს შორის. ილონ მასკი და დანარჩენები შელაპარაკდნენ, ამერიკა უნდა იყოს იზოლაციურ მდგომარეობაში საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად თუ გლობალური პოლიტიკა უნდა გააგრძელოს. ისე იჩხუბეს, ხელით კინაღამ შეეხნენ ერთმანეთს...

რაც შეეხება ბათუმში აქციის მონაწილეთა დაკავებას და იმას, რომ მზია ამაღლობელს პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო 4-დან 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება, მამუკა არეშიძე აცხადებს:

- მზია ამაღლობელმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ვიცი, მაშინ იქ რა ხდებოდა, ვიცი პროცესის მთელი ანატომია, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არ უნდა დაეშვა იმ მუხლის მიყენება, რომელიც მიუყენეს. უფრო მსუბუქად უნდა მიდგომოდნენ. უნდა გაეთვალისწინებინათ მისი ქმედება იმ კონტექსტში, რაც დაფიქსირდა. ვგულისხმობ მზიას დისშვილების დაჭერას, ფიზიკურ შეხებას, სიტყვიერ შეურაცხყოფებს და სხვა. ანუ აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს... ზოგადად, ვთვლი, რომ ბათუმში სამოქალაქო და პოლიტიკური დაპირისპირებების დაშვება არაფრით შეიძლება რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე. პოლიტიკური გარჩევების ცენტრი არის თბილისი, ხოლო რეგიონის ქალაქებში უნდა შევეცადოთ, ეს პროცესები უფრო კონსტრუქციულ რეჟიმში მიმდინარეობდეს. სიტყვა „სპეციფიკური“ შემთხვევით არ გამოვიყენე... მე არ ვხსნი ფრჩხილებს და არ ვყვები, ვის რა ინტერესები აქვს კონკრეტულად აჭარის მიმართ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არ უნდა დავუშვათ აჭარაში დაბალანსებული ვითარების შეცვლა. ეს უნდა გაითვალისწინონ როგორც რეგიონის პოლიტიკურმა ლიდერებმა, ისე თბილისის პოზიცია/ოპოზიციის პოლიტელიტამ და აქციების რიგითმა მონაწილეებმა. აქ სასწორზე დევს ჩვენი სახელმწიფოს ბედ-იღბალი და არა კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესები. ისტორიულად მოგვდგამს, საქართველოში არსებული დაძაბულობით ყოველთვის სარგებლობდა სხვა ქვეყანა. ახლაც იგივე იქნება. მე არა მხოლოდ ძალადობის, იმ საზიზღრობის წინააღმდეგიც ვარ, რაც ქვეყანაში ზოგადად ტრიალებს. ვგულისხმობ იმ უზარმაზარ ნეგატიურ ფონს, ფსიქოლოგიურ დრამას, რომელიც ჩვენ თვალწინ ყალიბდება. ამ დონეზე გახლეჩილი საქართველო არ მახსოვს 1991 წლის შემდეგ, რასაც მაშინ უამრავი ქართველის დაღუპვა მოჰყვა. მე სამოქალაქო ომს არ ვპროგნოზირებ, ვაშიშვლებ იმ უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელშიც მთელი ერი აღმოჩნდა: ოჯახები, სამეგობრო, სანათესაო იკარგება, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, თუ მიმართავენ, მხოლოდ გინებით. სოციალურმა ქსელებმა მჭიდრო ურთიერთობის საშუალება მისცა კაცობრიობას, თუმცა მანვე წარმოქმნა ლანძღვის, გინების, შეურაცხყოფის ენა, რომელიც დამღუპველია სახელმწიფოსთვის. არადა, სწორედ ეს მიმართვები ფიგურირებს დღეს საქართველოში სოციალური ქსელის მეშვეობით, რაც ერის უდიდესი ტრაგედიაა და ძალიან ცუდად მოგვიბრუნდება უახლოეს პერიოდში.

> ***„ბათუმში სამოქალაქო და პოლიტიკური დაპირისპირებების დაშვება არაფრით შეიძლება რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე. პოლიტიკური გარჩევების ცენტრი არის თბილისი, ხოლო რეგიონის ქალაქებში უნდა შევეცადოთ, ეს პროცესები უფრო კონსტრუქციულ რეჟიმში მიმდინარეობდეს... ეს უნდა გაითვალისწინონ როგორც რეგიონის პოლიტიკურმა ლიდერებმა, ისე თბილისის პოზიცია/ოპოზიციის პოლიტელიტამ და აქციების რიგითმა მონაწილეებმა. აქ სასწორზე დევს ჩვენი სახელმწიფოს ბედ-იღბალი“***

„მზია გისოსებს მიღმა გაცილებით საშიშია ხელისუფლებისთვის“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

ბათუმში გამართულ აქციებს მომიტინგეთა დაკავება მოჰყვა, რასაც უსამართლობად მიიჩნევს როგორც ოპოზიცია, ისე პოზიციის ნაწილი. სოციალური სამართლიანობის ცენტრის იურისტი გურო იმნაძე ფეისბუქზე წერს, რომ ბათუმელები/ნეტგაზეთის დამფუძნებლისა და დირექტორის მზია ამაღლობელის საქმეში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას სადამსჯელო ხასიათი აქვს, მაგრამ მთავარი სამართლებრივი ნონსენსი ბრალდებაა, რადგან სილის გაწვნისთვის არ შეიძლება ადამიანი სისხლის სამართლის წესით ისჯებოდეს: სისხლის სამართლის კოდექსშივე გვაქვს სპეციალური მუხლი, რომელიც ამბობს, რომ თუნდაც ფორმალურად არსებობდეს დანაშაულის ნიშნები, თუკი ქმედება უმნიშვნელოა, არ შეიძლება მისი ჩადენის გამო ადამიანი სისხლის სამართლის წესით დაისაჯოს

ამ საკითხზე და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „აჭარასთან“ საუბრობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი ***გიორგი მასალკინი.***

- ბოლო დროს ბათუმი კვლავ პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა. რით ახსნით ამ გააქტიურებას?

- ბათუმი ყოველთვის იყო პოლიტიკურად გამორჩეული მეორე ქალაქი საქართველოში. ბათუმელები ყოველთვის აქტიურობდნენ და საკუთარ კვალს ავლებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ისინი აქტიურად გამოხატავენ საკუთარ პოზიციას ჩატარებულ არჩევნებსა და მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. რაც შეეხება საპროტესტო აქციების გააქტიურებას, ეს პროცესი სათანადოდ რომ ავხსნა და კორექტული პასუხი გაგცეთ, უნდა ვიყო ამ აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი. მე შიგადაშიგ ვმონაწილეობ შეკრებებში, რის გამოც არ ვფლობ სრულყოფილ ინფორმაციას. ვფიქრობ, ტრამპის ინაუგურაცია ამ დუღილს შეაჩერებს. რას გადაწყვეტს აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ოპოზიციისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, დასავლეთს აჩვენოს, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა არსებული მმართველობით და უნდა დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. შესაძლოა, სწორედ ამ დუღილის შენარჩუნების ერთ-ერთი მცდელობა გახლდათ ბათუმში ვითარების დაძაბვა. არც კი მახსოვს, ეს დაპირისპირება რითი დაიწყო, მგონი, სტიკერების გაკვრით, აქციის მონაწილეთა დაკავებით, იქამდე - ხელოვნების უნივერსიტეტში მომხდარი შეხლა-შემოხლით... მოკლედ, დაგროვდა ყველაფერი ერთად, რამაც საბოლოოდ აწია ტემპერატურა.

- ბატონო გია, მანამდე ინარჩუნებდით ნეიტრალიტეტს, ცდილობდით, არ ჩარეულიყავით საპროტესტო პოლიტიკურ პროცესებში, ახლა კი პოზიცია შეიცვალეთ. თქვენი გააქტიურება რამ გამოიწვია?

- შევამჩნიე, რომ „კრიტიკული მედიასაშუალებები“ მაქსიმალურად ერიდებიან ჩემთან ინტერვიუს. როდესაც ჩამივლიან, მზერას მარიდებენ, იციან, რომ შესაძლოა ისეთი რამ ვთქვა, მათ არ მოეწონოთ, ახლა მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში აღიქვამენ ყველაფერს... მე მაქვს ჩემი პოზიცია. მიმაჩნია, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, ყოველ შემთხვევაში, უფრო დიდი დოზით, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი. მაქვს კარგი ისტორიული მახსოვრობა, ყოველთვის ვიმყოფებოდი არჩევნების ეპიცენტრში და კარგად ვიცი, რა არის მართვადი არჩევნები. ჯერ კიდევ ათი წლის წინ ვწერდი ერთ-ერთ სტატიაში, რომ ჩვენთან არჩევნები კი არ ყალბდება, იყიდება. ახლაც იგივე სტილის არჩევნები ჩატარდა, შესაბამისად, არც იმას ვთვლი, რომ ეს მთავრობა არ არის ლეგიტიმური. აქედან გამომდინარე, გამოთქმები: ეგრეთ წოდებული მთავრობა, ეგრეთ წოდებული პოლიცია... ცოტა ბავშვურია და ღიმილს იწვევს... თან, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით იმის ძახილი, არალეგიტიმური ხელისუფლება გვყავსო, ცოტა სარისკოა და კარგის მომტანი არ არის. აი, ეს არის ის განსხვავებული პოზიცია, რომელსაც ვინარჩუნებ, საპროტესტო აქციებში კი ვმონაწილეობ, რადგან ვეთანხმები მთავარში - თუ გავაერთიანებთ საგარეო და შიდაპოლიტიკურ მდგომარეობას, პოლიტიკური კრიზისი სახეზეა.

- რა არის საჭირო ამ კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად?

- აქ ორად ორი გამოსავალია: ერთი - რეპრესიები, რაც გარკვეულად იმუშავებს, მაგრამ, საბოლოოდ, საქართველოში არ გაამართლებს. ჩვენი ქვეყანა არ არის არც ბელარუსი, არც რუსეთი და, მით უმეტეს, შუა აზია... აქ აბსოლუტურად სხვა მენტალიტეტის ხალხი ცხოვრობს. ერთი შეხედვით, შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეობს ხალხის უმცირესობა, რომელიც პერმანენტულად ცვლის ერთმანეთს, მაგრამ ამ უმცირესობას სპიკერი გაცილებით მეტი ერუდირებული, განათლებული, ინტელექტუალი ჰყავს, რომლებმაც საზღვარგარეთ მოიპოვეს უპირატესობა და საქართველოშიც ფლობენ იდეოლოგიური ზეგავლენის ძლიერ ბერკეტებს. და თუ არა რეპრესიები, რომელი გზა რჩება? კომპრომისი, რასაც ველი ორივე მხრიდან. კომპრომისის გარეშე სიმშვიდეს ვერ მივაღწევთ.

- მთავრობა თვლის, რომ საქართველოში სიმშვიდეა.

- არა, არ არის სიმშვიდე, როდესაც ყველა დღე თენდება იმ ინტერესით, რა მოხდა გუშინ, ვინ ცემეს, ვინ დაიჭირეს, რა სკანდალი აგორდა... ეს არ არის ერის ჯანსაღი ცხოვრების წესი, ამიტომ ველი (იმის მიუხედავად, რომ იდეალისტურად ჟღერს ჩემგან), რომ ორივე მხარე დათანხმდება კომპრომისზე, ანუ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. მართალია, მისი დანიშვნა/ჩატარება ვერ მოხდება უცებ. ეს პროცესი მოიცავს სამართლებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ სფეროებს, მაგრამ პატრიარქის, უცხოელი პარტნიორების, მთელი პოლიტიკური სპექტრის ჩართულობით, ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს, რადგანაც ამ არჩევნებმა ბევრი კითხვა დატოვა. ამის გამო, გარკვეულწილად, იზოლაციაში აღმოვჩნდით საგარეო არენაზე. უნდა ჩავატაროთ ისეთი არჩევნები, რომელიც საეჭვოს აღარ გახდის მის საბოლოო შედეგს. შესაძლოა, არჩევნები ჩატარდეს გაზაფხულსა ან შემოდგომაზე, მაგრამ მთავარია გადაწყვეტილების მიღება, რაც შესაძლებელს გახდის, რაღაც ეტაპზე, ერის დაშოშმინებას და თუნდაც საგარეო პოლიტიკის (აღარაფერს ვამბობ საშინაო პოლიტიკასა და ეკონომიკურ პრობლემებზე) სტაბილიზაციას.

- რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ ვადამდელი არჩევნები არ მოიტანს იგივე შედეგს და ოპოზიცია კვლავ არ გააჩაღებს ბრძოლას ახლის დასანიშნად?

- ამიტომ უნდა ჩატარდეს ისეთი არჩევნები, რომელიც კითხვის ნიშნებს გამორიცხავს. სხვათა შორის, შესაძლოა, ეს ძალიან დიდი ხაფანგი აღმოჩნდეს ოპოზიციისთვის, რადგან შესაძლებელია, ამ შემთხვევაშიც „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს. ერთი მხრივ, არის სახელისუფლებო მდიდარი, მონოლითური პარტია თავისი ძალოვანი სტრუქტურებით, თავისი „ტვ იმედით“, ლოზუნგებით, რომლებიც კარგად მუშაობს და მეორე მხარეს დგას, როგორც ახლა ხშირად მოიხსენიებენ, უნიათო და დაქსაქსული ოპოზიცია, რომელიც ერთმანეთში ვერ შეთანხმდა ვერც არჩევნებამდე და ვერც მის შემდეგ ლიდერის გარეშე და ისევ სააკაშვილის ჩრდილში მყოფი. სხვათა შორის, იქ, სადაც გამოჩნდებიან პოლიტიკოსები, მაშინვე მძაფრდება ვითარება, რასაც შეხლა-შემოხლა და დაპატიმრებები მოსდევს, მათ შორის ბათუმშიც.

- მზია ამაღლობელის დაპატიმრებაზე რას იტყვით?

- ზოგადად, არ მიყვარს ჟურნალისტის უშუალო ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში. თუკი ესწრება მიტინგს ან აქციას, უნდა გააშუქოს, პოლიციის უფროსს სახეში კი არ უნდა გააწნას სილა... მაგრამ ამ ფაქტს წინ უსწრებდა ორსაათიანი დაკავება. არ ვიცით, იქ რა ხდებოდა... ამბობენ, რომ იყო გინება, უშვერი სიტყვები, შეხლა-შემოხლა, ტუალეტში არგაშვება და სხვა... აქედან გამომდინარე, დასაშვებია ადამიანური ფაქტორი - ქალი გამოვიდეს წყობიდან. ხმა არ ისმის კადრში, არ ვიცით, რატომ მოქაჩა, შემოაბრუნა და სილა გააწნა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს არის სილის გაწვნა კონკრეტულ სიტუაციაში. იურისტები წერენ, რომ თავისუფლად შეიძლებოდა სულ სხვა მუხლის მიყენება და სხვა კონტექსტში განხილვა. თანამედროვე საქართველოს ისტორიაში გაზეთმა „ბათუმელებმა“ და ონლაინგამოცემა „ნეტგაზეთმა“ ეპოქა შექმნეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმ შემთხვევაში კი, თუ დავუშვებთ, რომ ამ მედიაწყაროების დირექტორი მზია ამაღლობელი ცალსახად დამნაშავეა და უნდა გასამართლდეს, მაინც არ მესმის, რატომ იყო აუცილებელი ქალისთვის, დედისთვის, ჟურნალისტისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდება... მიმალვის საშიშროება?! მოწმეებზე ზემოქმედება?! ვისზე - პოლიციელებზე?! ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი?! საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, მეორედ ჩაიდენს დანაშაულს, ანუ კიდევ გააწნის სილას პოლიციელს?! კარგი, რა... სამწუხაროდ, დღეს სამყარო იმართება პიარით, ეს ეხება როგორც აშშ-ს, ისე რუსეთს, ევროკავშირსა თუ აფრიკას. ამერიკელმა კონგრესმენმა არც კი იცის ჩვენი სპეციფიკა და ურთიერთობები. მას აწვდიან ინფორმაციას, რომ ქალი, ჟურნალისტი, გაზეთის დამფუძნებელი, დედა დაიჭირეს სტიკერის გაკვრის და სილის გაწვნის გამო... „ქართული ოცნება“ ეწევა დაშინების, „ნულოვანი ტოლერანტობის“, „ჭკუის სწავლების“ პოლიტიკას. ვფიქრობ, ეს პოლიტიკა წამგებიანია. მზია გისოსებს მიღმა გაცილებით საშიშია ხელისუფლებისთვის, რადგან ახლა მთელი მსოფლიო მასზე ლაპარაკობს... სიმართლე გითხრათ, ხელისუფლების ქცევის ლოგიკას ვერ ვხვდები!

- მუჰაჯირების შთამომავალი თემურ ქათამაძე, რომელიც რამდენიმე წელია, საქართველოში ცხოვრობს და ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობს საპროტესტო აქციებში, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ 5-დღიან პატიმრობაში დატოვა.

- პირადად მე ეს პიროვნება ძალიან მესიმპათიურება. დიდხანს ვესაუბრე. მას მართლაც ბევრი აქვს გაკეთებული „გურჯებისა“ და ქართველების დაახლოებისთვის. აქ გვარები ჩამოიწერა და თურქეთის სოფლები მოიარა სანათესაოს გასარკვევად. წიგნები დაბეჭდა, თურქეთში ქართულის სწავლებას უწყობს ხელს. საქართველოს დიდი პატრიოტია. 15 წელია, აქტიურად იღვწის თურქეთში მყოფი ქართველების დედასამშობლოსთან დასაკავშირებლად და 15 წელია, ცდილობს საქართველოს მოქალაქეობის მიღებას (?!). მე და სხვებმაც უფრო ახლოს გავიცანით მიტინგებზე, სადაც დაუღლელად იდგა ქართული დროშით ხელში. როგორც ვიცი, ხელმეორედ დააკავეს საქართველოში ყოფნის ვადების დარღვევის გამო და მას დეპორტი ემუქრება.

- გახარიას გალახვის ფაქტმაც შეაშფოთა საზოგადოება. რას იტყვით მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე?

- მგონი, ეს ლაკმუსის ქაღალდი უნდა გახდეს საზოგადოებისთვის, კერძოდ, ვგულისხმობ, როგორ აშუქებს ამ ფაქტს სახელისუფლებო არხი. თავდასხმის ამსახველი ვიდეოს წინა და ბოლო ნაწილი მოჭრილია. არ ჩანს, რით დაიწყო შელაპარაკება, ვინ და რამდენი კაცი ურტყამს, ანუ აქვთ რაღაც დასამალი. ჩანს მხოლოდ, რომ დგას სუბტილური აგებულების გახარია რამდენიმე ჩაფსკვნილი კაცის წინაშე, ერთ-ერთს ესვრის ჭიქას ცხვირპირში და უცხადებს „ჯვაროსნულ ომს“... პოლიტიკური სიმპათია გახარიას მიმართ არასდროს მქონია, მაგრამ რაღაც რიდი მის მიმართ უნდა არსებობდეს, თავის დროზე ქვეყნის შს მინისტრი და პრემიერი იყო, ამჟამად საკმაოდ წარმატებული ოპოზიციური მოძრაობის ლიდერია... საინტერესოა, როგორ წარიმართება სასამართლო პროცესი, უკვე აღარ გამიკვირდება, რომ გაასამართლონ თავად გახარია, რომელმაც გაბედა და ჭიქა ესროლა მმართველი პარტიის წარმომადგენელს... სილის გაწვნისთვის ხომ დაიჭირეს მზია ამაღლობელი?!.

> ***„ზოგადად, არ მიყვარს ჟურნალისტის უშუალო ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში. თუკი ესწრება მიტინგს ან აქციას, უნდა გააშუქოს, პოლიციის უფროსს სახეში კი არ უნდა გააწნას სილა... მაგრამ ამ ფაქტს წინ უსწრებდა ორსაათიანი დაკავება. არ ვიცით, იქ რა ხდებოდა... ამბობენ, რომ იყო გინება, უშვერი სიტყვები, შეხლა-შემოხლა, ტუალეტში არგაშვება და სხვა...***

- აპირებთ პოლიტიკაში დაბრუნებას?

- მე პოლიტიკაში ვარ და ყოველთვის ვიყავი, უბრალოდ, უარი ვთქვი პოლიტიკური პარტიის წევრობაზე. 2016 წლიდან, პრაქტიკულად, არცერთი პარტიის წევრი არ ვარ, თუ არ ჩავთვლით „ლელოსთან“ ორთვიან თანამშრომლობას. მე ახლაც ვმონაწილეობ აქციებში, სიტყვით გამოვდივარ, საკუთარ პოზიციას ვაფიქსირებ სოციალურ ქსელში, მედიასა თუ მიტინგებზე, მაგრამ ვერ ვხედავ საკუთარ თავს რომელიმე პარტიაში. სიმართლე გითხრათ, ქართული პოლიტიკური სპექტრის დონემ იმდენად დაიწია, აღარ მაინტერესებს მათი პოლიტიკური დისციპლინის გაზიარება.

- თქვენ ახსენეთ, რომ დუღილი შენარჩუნდება ტრამპის ინაუგურაციამდე, თუმცა ისიც ვიცით, რომ აშშ-ის ახალი ლიდერი უცებ ვერ მოიცლის საქართველოსთვის...

- კი, 20-ში ვერ მოიცლის, მაგრამ უკვე 21-ში შესაძლოა, რაღაც დამოკიდებულება გააჟღეროს... ცხადია, სხვის მინიშნებებზე საკუთარი პოლიტიკის აგება ჩვენი სახელმწიფოს სისუსტეზე მიუთითებს, მაგრამ ვიყოთ რეალური პოლიტიკის მიმდევრები, პრაგმატულები და ვაღიაროთ, რომ არათუ ჩვენ, ჩვენზე დიდი სახელმწიფოებიც იგივე მდგომარეობაში არიან. ტრამპის მინიშნებები საბოლოოდ ბევრ რამეს გადაწყვეტს როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე, ოპოზიციისთვის, აღარაფრის მოლოდინი არ დაგვრჩება: ან გაძლიერდება ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ გამოხატული პოზიცია, რაც მთავრობას ჩააგდებს ცუდ დღეში, ან აშშ-ის ახალი პრეზიდენტი გააკეთებს ისეთ რევერანსებს, რაც გაამართლებს ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებებს, ანუ ერთ-ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევა...

კარგი ქვეყანა უდრის კარგ სამართალს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვნად განპირობებულია როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებით. ახალ მსოფლიო წესრიგში რა ელის ჩვენს ქვეყანას, როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე - ეს ის კითხვაა, რომელიც ითხოვს პასუხს, ამისთვის, უპირველესად, ჯეროვანი მოქმედებაა საჭირო, ანუ ქვეყნის სამართლიანი მოწყობა, დემოკრატიის განვითარება და რეფორმების ფართო სპექტრის ამოქმედება, ასევე, ევროპული განვითარების მოდელის დანერგვა. ასეთ მოსაზრებას გამოთქვამენ ანალიტიკოსები. სწორედ ამის თაობაზე გვესაუბრება პარტია „ახალის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ***მირდატ ქამადაძე.***

- საქართველოს შიდა პოლიტიკაზე ვისაუბროთ: რა თავისებურებებით ხასიათდება ბოლოდროინდელი მოვლენები?

- საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად მივიღეთ ის მოცემულობა, რომ ამ ქვეყნის არჩევნებს არავინ აღიარებს. ხელისუფლებამ ჩვენი თანამშრომლობა დასავლეთთან (26 ოქტომბრის შემდეგ) წყალში ჩაყარა, ეს ყველაზე საგანგაშო ამბავია. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა ეცადა, პირიქით - უფრო კრიზისში შეიყვანა ქვეყანა. გაყალბებული არჩევნების შემდეგ მმართველმა გუნდმა განაცხადა, რომ წყვეტდა ურთიერთობას დასავლეთთან. ისინი ყველაფერში დასავლეთს ადანაშაულებენ, ახლა „დიფ სთეითზე“ საუბრობენ, მანამდე - გლობალურ ომის პარტიაზე. უნდა ითქვას, რომ არავითარი „დიფ სთეითი“ არ არსებობს, ეს არის ჩვეულებრივი პროპაგანდა. მმართველი პარტია ცდილობს, პროპაგანდისტული საშუალებებით, ცრუ ინფორმაციებით ადამიანებს არარეალური დააჯეროს. სამწუხაროდ, რაღაც ნაწილზე ეს მოქმედებს, მაგრამ საბოლოოდ შედეგს ვერ გამოიღებს. 54-დღიანი პროტესტი ამას აჩვენებს. პროცესი უნდა მივიდეს ბოლომდე, ანუ უნდა მივიღოთ ქვეყანაში ახალი, თავისუფალი არჩევნები და ყველა პოლიტპატიმარი განთავისუფლდეს. ჩვენ, ასევე, ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ რუსთაველზე დაარბია მომიტინგეები, სცემა ახალგაზრდები. ამ მხრივ წარსულში სხვადასხვა ხელისუფლებასაც ახასიათებდა შეცდომები, დანაშაულებები, მაგრამ ასე დემონსტრაციულად, საჩვენებლად ეცემოს ახალგაზრდები, არავის უკადრია. მოკლედ, სახეზე გვაქვს პოლიტიკური კრიზისი, ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი განიმუხტება არჩევნებით, შესაბამისად, ამ კრიზისსაც განმუხტავს თავისუფალი არჩევნები.

- სხვათა შორის, გამოძიების შედეგად, პროკურატურამ არჩევნებთან დაკავშირებით შუალედური დასკვნა დადო, რომ არჩევნები არ გაყალბებულა...

- პროკურატურისგან სხვას არაფერს უნდა ველოდოთ, რადგან ობიექტური პროკურატურა, პოლიცია, სასამართლო ამ ქვეყანას არ ჰყავს. ეს არის სისტემა, რომელიც, თავიდან ბოლომდე, ერთი ადამიანის ხელშია, ის იღებს ყველა გადაწყვეტილებას, დანარჩენი ყველაფერი ბუტაფორიაა. არავის ეპარება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი რასაც ისურვებს, ნებისმიერი უწყება იმ გადაწყვეტილებას მიიღებს, მიუხედავად იმისა, რა წერია კანონში... გვერდს ვერ ავუვლი მზია ამაღლობელის დაკავებას, ის წლების განმავლობაში აბაშიძის, სააკაშვილის ხელისუფლებას აკრიტიკებდა, არის ავტორიტეტული ჟურნალისტი, ამ ხელისუფლებასაც აკრიტიკებს. ხელისუფლებამ გაბედა და იგი ციხეში გაუშვა ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ შეიძლება შეფასდეს დანაშაულად.

- მმართველი გუნდის წევრები ამბობენ, რომ მზია ამაღლობელმა პოლიციელზე ხელი აღმართა. რას ფიქრობთ?

- მმართველი პარტია ბევრ რამეს ამბობს, საერთოდ, პოლიციელზე თავდასხმა სხვა რამეში გამოიხატება. თავდასხმა გულისხმობს, რომ პოლიციელს არ აქვს შესაძლებლობა, ამ თავდასხმის შედეგად თავისი საქმიანობა განახორციელოს. ეს იყო დაძაბული შეკამათება, რასაც მოჰყვა ხელით შეხება, ეს იმდენად უმნიშვნელო ქმედება იყო, რომ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. პოლიციელს არ აქვს არავითარი დაზიანება, საქმის განხორციელებაში ხელი არ შეშლია და სხვა. არ შეიძლება, ეს დანაშაულად ჩაითვალოს, ამას ჩვენი კანონმდებლობაც ამბობს. მე იურისტი ვარ პროფესიით და პირდაპირ ვამბობ: მზია ამაღლობელი უდანაშაულოა. შეიძლება ადმინისტრაციული წესით წასულიყო ეს საქმე, მაგრამ მუხლი იმიტომ წაუყენეს, რომ წინასწარ პატიმრობას ვერ მიუსჯიდნენ.

- ვხედავთ, რომ ქვეყანაში მიტინგები არ წყდება. პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

- პროგნოზირება რთულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი საზოგადოების ხასიათს, მენტალიტეტს, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული საზოგადოება არ არის ის საზოგადოება, რომელსაც შეიძლება თავში წამოარტყა, ჩვენი ისტორია ამას გვაჩვენებს... ამ პროცესის ლოგიკური დასასრული იქნება ახალი არჩევნები.

- მმართველმა გუნდმა წინა ხელისუფლების დანაშაულების გამოძიება დააანონსა...

- ეს საკენკია საზოგადოებისთვის იმიტომ, რომ მმართველ ძალას ამ ქვეყანაში არ აქვს იდეა, პროგრამა, დაპირება, რომელიც შეასრულა. წინა ხელისუფლების მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენებია გამოტანილი... ხელისუფლება ცდილობს, საპროტესტო მუხტი დააცხროს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ არ ვართ ის საზოგადოება, რომელსაც თავში წამოარტყამენ და ამას აიტანს.

- თქვენ ოპოზიცია ახსენეთ. დღესდღეობით რა სტადიაშია ოპოზიციური სპექტრი?

- ვიყოთ გულწრფელები: დღეს ოპოზიცია ძალიან სუსტია. თუ მოვლენებს ქრონოლოგიურად გავიხსენებთ, 26 ოქტომბრის შემდეგ, ამას დავასკვნით. უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციამ საპროტესო მუხტი ვერ აწია, რასაც თავისი მიზეზები აქვს... როცა ხელისუფლებამ დააანონსა, რომ ის წყვეტდა ურთიერთობას ევროკავშირთან, მაშინ ხალხი გამოვიდა ქუჩაში. ქუჩის პროტესტი აჩვენებს ერთ რამეს, რასაც ოპოზიციამ ყურადღება უნდა მიაქციოს: 54 დღის განმავლობაში მიმდინარეობს აქციები ლიდერის გარეშე, ეს ხომ არ მიანიშნებს, რომ ამ ქვეყანაში საზოგადოების დაკვეთა არის ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, ანუ ერთ ადამიანს არ უნდა ეჭიროს ძალაუფლება არცერთ სფეროში? საზოგადოებამ აჩვენა, რომ მას თვითორგანიზებით შეუძლიათ დიდი პოლიტიკური პროცესების მართვა. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ აქციების ყველაზე დაძაბულ დღეებშიც კი არცერთი კერძო საკუთრება არ დაზიანებულა, რადგან ჩვენ ხელს არ გვაძლევს დესტაბილიზაცია. მოსახლეობას ხელისუფლების ცვლილების შემდეგ უნდა შევთავაზოთ ძალაუფლების სამართლიანად, ობიექტურად გადანაწილება, რომ ცვლილებების შემდეგ მხოლოდ თანამდებობის პირები კი არ შეიცვლებიან, არამედ სისტემა, ანუ თუ ჩვენ ადამიანს დავარწმუნებთ, რომ რეალური რეფორმები ტარდება, რომ პოლიცია ვერასდროს გაბედავს, აბსურდული ბრალდებით ვინმე ჰყავდეს დაკავებული და შეიძლება ამ ქვეყანაში იცხოვრონ თავისუფალად, მაშინ ისინი ცვლილებებისთვის ნაბიჯს გადადგამენ.

- ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობები უარესდება და თუ ეს პროცესი გაგრძელდა, ქვეყანა იზოლაციაში მოექცევა...

- სამწუხაროდ, ქვეყანა უკვე იზოლაციაშია. მაგალითად, როდესაც აშშ-მა სტრატეგიული პარტნიორობის შეჩერება დააანონსა, ასევე, რამდენიმემილიონიანი დახმარება შეაჩერა ევროკავშირმა, რაც უკვე იზოლაციაა.

- მმართველი პარტია აცხადებს, რომ ევროკავშირთან დაახლოების პროცესი თავად ევროკავშირმა შეაჩერა...

- ეს ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, იტყუება. მან, სპეციალურად, რუსეთისკენ მიმავალი გზა აირჩია. ხელისუფლება ამას იმიტომ აკეთებს, რომ საზოგადოებას დაანახოს, თითქოს ერთადერთი ხსნა რუსეთია... ამ მხრივ ოპოზიციაც და მედიაც ცოდავს. მმართველი პარტია რომ ცუდია, ამაზე ქართული საზოგადოება ჩამოყალიბებულია. ოპოზიცია და მედია მმართველი პარტიის დღის წესრიგის ნიუსების კომენტარებით შემოიფარგლება, რაც ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. მმართველი პარტია რომ ცუდია, გავიგეთ, მაგრამ ცვლილების შემდეგ როგორ ქვეყანას მთავაზობ, ამაზე უნდა იმსჯელოს ოპოზიციამ.

- სხვათა შორის, ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიცია შეცდა, როდესაც საარჩევნოდ მსგავს თემებზე არ საუბრობდა.

- დიახ, შეცდა და ეს უნდა ვაღიაროთ. მმართველმა პარტიამ 42 პროცენტი მიიღო, ეს ეგზიტპოლებმაც დაადასტურა, რაც ნიშნავს, რომ ოპოზიციამ სათანადოდ ვერ დაარწმუნა მოსახლეობა ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაში. ცხადია, მმართველმა გუნდმა 7 პროცენტი მოიპარა, ამის მტკიცებულებებიც დევს, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ კითხვა დავსვათ: მიუხედავად ამ გაყალბებისა, ამდენი პროცენტი მმართველმა პარტიამ რატომ მიიღო? ოპოზიციამ რატომ არ მიაწოდა ხალხს გასაგებად და დამაჯერებლად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციები, დროულად არ ამხილა მმართველი პარტიის გამიზნული ცრუ პროპაგანდა ომის შესახებ?! ცალკე ლგბტ პროპაგანდამ და შიშმა მოსახლეობის ნაწილზე იმუშავა, რამაც აღნიშნული შედეგი მოიტანა. დღეს კითხვას სვამს მოქალაქე: რა იქნება ხვალ? თუ იქნება ბუნდოვანება, რომ ცვლილებებმა შეიძლება უარესი მოიტანოს ამ ქვეყნისთვის, არავინ გარისკავს, ეს ადამიანურია. ჩვენ გვჭირდება, უფრო დიდი სიცხადით დავანახოთ ადამიანებს, რომ ცვლილებებს ამ ქვეყანაში ომი და უბედურება კი არა, უკეთესობა მოაქვს. ჩვენ, ასევე, მკაფიო პოზიცია უნდა გვქონდეს იმაზეც, რა მოხდება ცვლილებების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. თუ მთავარი ამოცანაა, ცვლილებებისთანავე დავიჭიროთ და ამას დავაპირებთ კიდეც, ეს რევანშია, რასაც არ შეიძლება ჰქონდეს საზოგადოების მხარდაჭერა, რადგან რევანში არის ბუნდოვანება.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ. მმართველი პარტია აცხადებს, რომ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან დაარეგულირებს ურთიერთობას...

- გამორიცხული არაფერია. ტრამპი როცა შევა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში, არა მგონია, საქართველოს საკითხი იყოს პირველი მისთვის. ეს ერთი, მეორე: ტრამპის იმედი არასწორად აქვს მმართველ გუნდს, ტრამპმა ღიად და საჯაროდ განაცხადა, რომ არ მეგობრობს ჩინეთთან, ირანთან, ჩვენ გვახსოვს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ვიზიტი ირანში, პრეზიდენტის დაკრძალვაზე, სადაც ისმოდა შეძახილი: სიკვდილი - ისრაელს! სიკვდილი - ამერიკას! ჩვენ, ასევე, ვნახეთ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის განცხადებები იმ ფონზე, როცა ამერიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობას წყვეტ. ხელისუფლების შანსია ახალი არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პოლიტიკურად გაცამტვერდება.

- დაბოლოს: გაქვთ იმედი, რომ ხელისუფლებას დათმობაზე დაიყოლიებთ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით?

- ამ ხელისუფლებას დათმობაზე ვერ დაიყოლიებ, რადგან ის რუსული რეჟიმია, გადამგდები ხალხია. მმართველი პარტია ყოველთვის უკან იხევს, როდესაც ხედავს ძალას, შესაბამისად, ამ ძალას ხედავს დღეს „ქართული ოცნება“, ამიტომ არის აგონიაში და მხოლოდ თოფიან ხალხს ეყრდნობა. ჩვენ ამ დიდ საპროტესტო მუხტს უნდა დავუმატოთ იდეა, ხალხს უნდა დავანახოთ, რომ ეს ქვეყანა მართლა გვიყვარს, რომ მართლა ევროპელები ვართ! ევროპა რას ნიშნავს? ევროპა ხომ არ არის მარტო გეოგრაფიული მდებარეობა, ევროპა არის ცხოვრების წესი, სადაც ჩაგვრა, ტყუილი, შერჩევითი სამართლი არ არის. და როგორ ვაღწევთ ამას ჩვენს ქვეყანაში? ეს მოსახლეობას კარგად უნდა გავაგებინოთ, ამაში ვხედავ გამოსავალს. თუ ამას ვერ ვაგებინებთ საზოგადოებას, მაშინ მორევაზეა საქმე, ანუ ვინც მოიგებს, ის რჩება ერთპიროვნული მმართველი. მე არ მინდა ერთპიროვნული მმართველი. მოკლედ, თუ მურუსიძის სასამართლო გვექნება, ევროპაში არ მიგვიღებენ. ევროპა ჩვენ არანაირი სუვერენიტეტის დათმობას არ გვთხოვს, ევროპა გვეუბნება, თქვენ ხართ უძველესი ცივილიზაციის ხალხი და იმ წესებით უნდა იცხოვროთ, „სადაც ქმნა მართლისა“ მნიშვნელოვანია, სადაც სიცრუე და ორპირობა არ მოსულა, სადაც მოყვასის ძებნა და მოკავშირეობა მნიშვნელოვანია და ამ მორალით ცხოვრება არის ევროპა... მოკლედ, ევროპა რჩება ერთადერთ ადგილად, სადაც პრობლემის გადაჭრა დიალოგის გზითაა შესაძლებელი, ხოლო რუსეთი და დანარჩენი სამყარო არის ადგილი, სადაც პრობლემა ტანკით წყდება, ესაა განსხვავება. ჩვენ გვინდა ისეთი ოჯახის წევრები ვიყოთ, სადაც ჩვენი ისტორიული ადგილია, ანუ დასავლეთში, ევროკავშირსა და ნატოში, სადაც არათუ ჩვენი უსაფრთხოება, არამედ ეკონომიკური კეთილდღეობაც გარანტირებული იქნება.

> ***„უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციამ საპროტესო მუხტი ვერ აწია, რასაც თავისი მიზეზები აქვს... როცა ხელისუფლებამ დააანონსა, რომ ის წყვეტდა ურთიერთობას ევროკავშირთან, მაშინ ხალხი გამოვიდა ქუჩაში. ქუჩის პროტესტი აჩვენებს ერთ რამეს, რასაც ოპოზიციამ ყურადღება უნდა მიაქციოს: 54 დღის განმავლობაში მიმდინარეობს აქციები ლიდერის გარეშე, ეს ხომ არ მიანიშნებს, რომ ამ ქვეყანაში საზოგადოების დაკვეთა არის ძალაუფლების დეცენტრალიზაცია***

მოფარიკაველები თურქეთში ასპარეზობენ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

თურქეთი ფარიკაობაში საერთაშორისო ტურნირს „თურქეთის ფარიკაობის ფედერაციის თასს“ მასპინძლობს

შეჯიბრების მეხუთე დღე ხმლით მოფარიკავე იუნიორების გუნდურ ასპარეზობებს დაეთმო. კარგად გამოვიდა საქართველოს ქალთა ნაკრები, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალთა ნაკრებში აჭარის ნაკრების წევრი ნინო ტუღუში ასპარეზობდა.

ვულოცავთ საქართველოს ნაკრებს, ასევე, ნინო ტუღუშსა და მის პირად მწვრთნელ გიორგი რამიშვილს ამ წარმატებას!

მურად მიქელაძის სურვილი აფხაზ მეგობრებთან დაბრუნებაა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***მურად მიქელაძე** შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსია. შრომა უფასდება. შარშან გამართულ „შუახევობის“ დღესასწაულზე „საპატიო შუახეველად“ აირჩიეს. მას ნათლისღების დღეს ვესაუბრეთ.*

- ბატონო მურად, თუ ელოდით, რომ „საპატიო შუახეველის“ წოდებას მოგანიჭებდნენ?

- დაუმსახურებლად არაფერი მოდის. ჭაბუკობის წლებიდან მოყოლებული, შუახეველთა სამსახურში ვარ. ვიყავი ახალგაზრდების წინამძღოლი. ზამლეთის საკრებულოს თავმჯდომარეობა ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში ვითავე, რაც ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო ჩემს ბიოგრაფიაში. შუახევის კავშირგაბმულობის უფროსის თანამდებობაზე რომ დამაწინაურეს, მაშინ სისტემა რეორგანიზაციას საჭიროებდა. ყველაფერს მოვერიეთ. წლების განმავლობაში გამგეობის, მერიის სამსახურების უფროსი ვიყავი. ახლაც ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ვმუშაობ. მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც „საპატიო შუახეველის“ შესარჩევ კომისიაში არიან. ეს აღიარება ჩემი შრომის დაფასებაა და მეტს მავალდებულებს.

- ბუთურაულთან რა კავშირში არიან მიქელაძეები?

- ისტორიულად, მიქელაძეების გვარი იმერეთიდან - სამტრედიიდან არის გადასული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ბუთურაულში ისინი ისტორიული, ჯვარდასმული საფლავის მიმდებარედ დასახლებულან. ეს ძეგლი მერვე საუკუნით თარიღდება. დაინტერესებული ადამიანი ჯვარდასმული საფლავის სიახლოვეს ტაძრის ნაშთებსაც ნახავს.

- გვარის ღირსეულ პირებს შორის იუმორით გამორჩეული იყო სევფო მიქელაძე. რა გააკეთეთ მისი სახელის უკვდავსაყოფად?

- ბატონი სევფო აჭარის მთიანეთის კოლორიტი იყო. მისი ანეკდოტები ხალხში მარგალიტებადაა მიმობნეული. საშური საქმე გააკეთა ჟურნალისტმა ოთარ ცინარიძემ, როცა მისი გამონათქვამები წიგნად გამოსცა, რისთვისაც სოფლისა და გვარის სახელით უღრმეს მადლობას გადავუხდი. სოფელში გვაქვს სევფო მიქელაძის ხეივანი, სადაც ახალგაზრდებსა და სტუმრებს ვაცნობთ მის მრავალფეროვან ცხოვრებას. იგი ცნობილი თამადაც იყო.

- რამდენიმე სამსახური გამოიცვალეთ. რომელ თანამდებობაზე მუშაობა იყო დასამახსოვრებელი?

- ზამლეთის თემის საკრებულოს თავმჯდომარეობა. შუახევის რაიონის მაშინდელ პირველ პირებთან (თუმცა გართულება არავისთან მქონია), ბატონებთან ანზორ გოგიტიძესა და ტარიელ ნიუარაძესთან კარგი სამსახურებრივი და მეგობრული ურთიერთობები მქონდა. ჩვენ ერთად ვუმკლავდებოდით უშუქობას, სტიქიის შემოტევას, დაზარალებული ოჯახების საიმედო ტერიტორიებზე გადაყვანასა და მათ იქ დამკვიდრებას. საინიციატივო წესით ვაშენებდით და რეაბილიტაციას ვუტარებდით სკოლებს. იმ წლებში აშენდა ერთი კაპიტალური საჯარო სკოლა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორ საჯარო და ოთხ დაწყებით სკოლას. ეს იმ დროს, როცა თანხები ადგილობრივ ბიუჯეტში მწირი იყო და არც, ახლანდელის მსგავსად, მდიდარი შუახეველები გვყავდა. მეგობარს ყველაზე მეტად, გაჭირვების დროს შეიცნობ. არ დამავიწყდება სხალთის, ფუშრუკაულის, ხიხაძირის, თხილვანის, ჭვანის, წყალსაყრის, ბარათაულის, ოლადაურის, შუბნის, დღვანის, უჩამბისა და დაბა შუახევის მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარეების თანადგომა. იმ რთულ პერიოდში ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებდით, დახმარების ხელს ვუწვდიდით. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფდი სამეულს, რომელთან ერთადაც ათეული წლებია მოვდივარ - ამირან ბერიძე, შაქრო და ვასო ხიმშიაშვილები, ჩვენი ყველა შეხვედრა ხალხზე ზრუნვას, სიკეთის კეთებას და სიახლეების დანერგვას ემსახურება.

- ამბობენ, მეუღლეც ერთგულ მეგობრად ჰყავსო...

- ჭეშმარიტებაა. უკვე 30 წელია, მერი დუმბაძე და მე ერთად მოვდივართ. მისგან თანადგომა არასდროს მომკლებია. 2 შვილი გავზარდეთ, შვილიშვილებსაც მოვესწარით, სამი შვილიშვილი მყავს, ბაბუობა ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ისინი მმატებენ სიცოცხლეს და სიხარულს. რძლებიც საუკეთესოები მყავს.

- რა განიცადეთ ყველაზე მძიმედ?

- პირველ რიგში, მშობლებისა და დედმამიშვილების გარდაცვალება, მეგობრისა და თანატოლების - მიხეილ მელიქიშვილის, გივი მიქელაძის მოულოდნელი, თავზარდამცემი სიკვდილი. 2008 წლის აგვისტოს ომში ჩვენი სოფლიდან დავკარგეთ მამულისთვის მებრძოლი პატრიოტი იაგო მიქელაძე. იგი ეროვნული გმირია. მისი გარდაცვალება ტრაგედია იყო მთელი სოფლისთვის.

- როგორც ვიცი, სოხუმში სწავლობდით...

- დიახ, უმაღლესი განათლება სოხუმში მივიღე. 1993 წლის მოვლენებს ბეწვზე გადავურჩი. მენატრება სოხუმი და იქ შეძენილი მეგობრები, თანაკურსელები, პროფესორ-მასწავლებლები.

- საზოგადოება „ზამლეთელის“ თავმჯდომარე ოთხი სოფლის (ნიგაზეული, ფურტიო, ნენია, ბუთურაული) სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვის რას აკეთებთ?

- 20-30 წლის წინ ზამლეთელებისთვის რომ გეთქვა, ყველა სოფელში მოასფალტებული გზა იქნებოდა, ფურტიოში აშენდებოდა კაპიტალური საჯარო სკოლა, რომელიც აჭარის მთიანეთში უნიკალური ნაგებობაა, ფურტიოში, ბუთურაულსა და ნენიაში სოფელ რაქვთიდან, ხოლო ნიგაზეულში ინწკირვეთიდან სასმელი და სარწყავი წყლის მაგისტრალები გაკეთდებოდა, ყველა სოფელში მოეწყობოდა სპორტული მოედნები, ფურტიოში, ბუთურაულში აშენდებოდა ბაგა-ბაღები, კეთილმოეწყობოდა სოფლის ცენტრები, გვექნებოდა გამართული ინფრასტრუქტურა, სასაცილოდ არ ეყოფოდათ. სტიქია უტევს ბუთურაულს. ხელისუფლების თანადგომით დაზარალებულებს დაბა შუახევში ბინები უფასოდ გადაეცათ, მრავალმა საკომპენსაციო თანხა მიიღო. გაცემა გრძელდება. საზოგადოება „ზამლეთელის“ ინიციატივით, ჩატარდა სახალხო ზეიმი „ზამლეთობა“, „საპატიო ზამლეთელები“ ავირჩიეთ. აჭარის ბარსა და მის მთიანეთში მცხოვრებ ზამლეთელებთან საახალწლო შეხვედრები გავმართეთ. ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა საზოგადოება „ზამლეთელის“ მთავარ საზრუნავად რჩება. კარგია, როცა ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონის ხელმძღვანელობა ჩვენს წინადადებებსა და სურვილებს ითვალისწინებს. მიმდინარე წლის პრიორიტეტებს თუ გადავხედავთ, ყველაფერი ნათლად წარმოჩნდება.

- მრავალი პიროვნებაა ზამლეთში, რომელთა საქმიანობა მივიწყებას ეძლევა. რის გაკეთებას ისურვებდით მათი ღვაწლისა და სახელის წარმოსაჩენად?

- 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის იაგო მიქელაძის სახელობისაა ბუთურაულის საჯარო სკოლა, ეროვნული მოძრაობის სახელოვანი წარმომადგენლის შერიფ ხიმშიაშვილის სახელი დაიბრუნა ნიგაზეულის საჯარო სკოლამ. კიდევ მრავალი ღირსეული პიროვნება გვყავდა, რომელთა საქმეები დავიწყებას არ უნდა მიეცეს. მათ უკვდავსაყოფად სოფლებში საჭიროა გაკეთდეს მემორიალური დაფები.

- სურვილები, რომლებიც 2025 წლის ბედობის დღეს ჩაუთქვით?

- საუბარში სოხუმი და აფხაზეთი ვახსენე. ვისურვებდი, ისეთივე მეგობრული და მეზობლური დამოკიდებულება აღდგეს ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომლის მოწმე და მნახველი სოხუმში სწავლის წლებში ვიყავი. მშვიდობა და კეთილდღეობა, გამთლიანება ჩემს ქვეყანას. სიკეთეს გაემარჯვოს ბოროტებაზე.

როგორ აღმოჩნდა სომეხი გოგონა აჭარის მთიანეთში, ანუ ტრაგიკული დასაწყისის ბედნიერი დასასრული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მეორე მსოფლიო ომმა მრავალ ადამიანს აურია ცხოვრება, სომეხ გოგონა ვართანუშსაც ნამდვილი ტრაგედია გადახდა თავს. შვიდი წლის გოგონა მარტო დარჩა ამ სამყაროში. ბათუმის ქუჩაში, სრულიად უმწეო, იპოვა იგი ერთმა გორელმა (შუახევის რაიონი) კაცმა და ერთხანს თავად დაიყენა მოსამსახურედ პატარა გოგონა, შემდეგ კი ერთ შეძლებულ ოჯახს მიჰყიდა. ახალი „მეპატრონე“ ბევრად უკეთესად ექცეოდა, ვიდრე პირველი. მან ვართანუში ზღვისპირა სოფელ ორთაბათუმიდან მაშინდელი ხულოს რაიონის ახლად დაარსებულ სოფელში ახლობლებთან წამოიყვანა. მკვირცხლ, ხელმარჯვე და დაუზარელ გოგონას მთიელმა ჭაბუკებმაც დაადგეს თვალი, მაგრამ ყველას ლომანაურელმა ტყვიარ ფუტკარაძემ დაასწრო. გოგონას ხელის მთხოვნელი „პატრონის“ ახლობელიც გამოდგა და ასე აღმოჩნდა სომეხი გოგონა მარეთის ხეობის მშვენიერ სოფელ ლომანაურში.

სიმშვიდესა და მოფერებას დახარბებულ გოგონას მასზე ასაკით უფროსი ქმარი მზრუნველობას არ აკლებდა. ვართანუშიც ორმაგად უფასებდა სითბოს. დროის მოკლე მონაკვეთში მან მეზობლების პატივისცემაც დაიმსახურა, თუმცა გაჭირვებული კაცის არ იყოს, რომელსაც ქვა აღმართშიც დაეწევა, მრავალ განსაცდელგამოვლილ გოგონას აქაც ტრაგედია ელოდა - მეუღლეს უკურნებელი სენი შეეყარა. დაავადებულ ქმარს მზრუნველობას არ აკლებდა, მაგრამ სიკვდილმა მაინც წაართვა, შემდეგ შვილიც გარდაეცვალა.

ოჯახს, სოფელს მაინც ვერ შეეღლია. მინდორში, სათიბში ლომანაურელებთან ერთად მუშაობდა, არც პირველი სიყვარულის მამულსა და სახლ-კარს აკლებდა ხელს.

მთელი სოფელი გვერდით დაუდგა უპატრონოდ დარჩენილ ქვრივს. მის წილ საკოლმეურნეო საქმეებსაც ნადური წესით ასრულებდნენ. ვართანუშს მხსნელად მოევლინა ლომანაურის მაშინდელი თავკაცი, პროფესორების - შუშანას, ჯემალის, ცნობილი ექიმების ოთარისა და ნოდარის მამა ხუსეინ ფუტკარაძე.

- ბატონი ხუსეინი მარტო ჩემი მისამართით არ იჩენდა გულისხმიერებას. იგი სხვებსაც არ აკლებდა მზრუნველობას. კარაპეტელმა ალი ზოიძემ ცოლობა რომ მთხოვა, რჩევა მას ვკითხე. მოიწონა. ისიც მითხრა, უპატრონოდ ყოფნა რას გარგებს, უნდა გათხოვდე, დედობა ყოველი ქალის ვალიაო, - იხსენებს ვართანუში. იგი არ ივიწყებს ბინალ, შირინ, ახმედ ფუტკარაძეების ამაგსაც.

თითქმის 70 წელია გასული იმ დროიდან, რაც ალი ზოიძე კარაპეტიდან ლომანაურში გადმოვიდა. კერაზე მალე პირველი ახალი სიცოცხლეც გაჩნდა. მეზობლებიც იზიარებდნენ მათ სიხარულს, ლუკმას უყოფდნენ ახალ ოჯახს და ცოლქმარმა მალე შეძლო ფეხზე დადგომა. 11 შვილი გაუზარდეს ქვეყანას.

- ყოველი შვილის დაბადებისას ჩემი ტრაგიკული ცხოვრების სურათები მახსენდებოდა. დღემდე არ ვიცი, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, ვინ არიან ახლობლები, სად დავიბადე, რა გარემოებამ აიძულათ, რომ სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი გოგონა მიმატოვეს. ნუ მომთხოვთ, იმის გვარ-სახელი გავთქვა, ვინც მიყიდა. მძიმე, აუტანელ მდგომარეობაში ვყავდი. სკოლაშიც კი არ შემიყვანა, რომ თანატოლების მსგავსად წერა-კითხვა მესწავლა. პირუტყვის მწყემსვა, საოჯახო საქმეები, შეშის ჩეხვაც კი მე მევალებოდა, - გვითხრა ვართანუშმა და ცრემლი ვერ შეიკავა.

90 წელს მიტანებული ვართანუში სათუთად ინახავს ყველა შვილის დაბადების მოწმობასა და „გმირი დედის“ დიპლომს. გვთხოვა, ისიც დაგვეწერა, რომ 70 წელია, ამ სოფელში ცხოვრობს, ყველა ვართანუშ ბებიასა და „ბათუმურას“ ეძახის. ერთხელაც არავის დასცდენია, რომ ეროვნებით სომეხია და მშობლების ვინაობაც არ იცის. ამ ყველაფერს სოფლის ღირსებად, ლომანაურელების თანადგომად მიიჩნევს და დიდად ემადლიერება.

პირველი შვილის შემდეგ კიდევ ერთი დაკარგა. 5 ვაჟი და 5 ქალიშვილი ჰყავს და დღეს მისი და ალის შთამომავლობა უკვე 60-ს ითვლის. შვილთაშვილებსაც მოესწრო. წელიწადი ისე არ ჩაივლის, რომ ორით ან სამით არ გაიზარდოს ოჯახის წევრთა რიცხვი. ორი შვილი უცხოეთში ცხოვრობს. უფალმა ტკბილი სიბერე არგუნა. შვილი გრიგოლი, რძალი დოდო აბაშიძე მზრუნველობას არ აკლებენ. მაჭახლის ხეობის სოფელ ცხემლნარაში დაბადებული გოგონა საოჯახო საქმეებს კარგად უძღვება. ადრე მემთეურადაც დადიოდა. ბოსელში პირუტყვი არ აკლიათ, ეზოში - ქათამი და ინდაური. მთელი სოფელი აქებს დოდოს ხელით მოყვანილ ბოსტნეულსა და ბაღჩეულს. ერთხელ დოდოს ახლობელი, ცნობილი ეთნოგრაფი და მეცნიერი როინ მალაყმაძე წვევიათ. გოგრა რომ დაგემოვნა, უთქვამს, მგავსი ჯერ არ გამისინჯავსო. ვართანუშს თავის დროზე წიგნი და სკოლა ენატრებოდა, ახლა კი მის შვილიშვილს სახლში ავტომანქანა აკითხავს გოგინაურის სკოლაში წასაყვანად.

იხ. მე-8 გვ.

აჭარა 103 №2 (25.180) პარასკევი, 24.01.2025

ვოლქან ქარაუჩოღლუ გოგიტიძე: რომ დაგვიჭირონ, მოგვკლან, ქართველობაზე უარს არ ვიტყვით

ნანა აბულაძე 577 20 35 90

- თქვენი მოსვლით აქაურობა გაათბეთ და გაალამაზეთ, - გვითხრა ბათუმიდან თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ორდუში კალანდის დღესასწაულზე დასასწრებად ჩასულებს მთავარმა მასპინძელმა, ორდუს ქართული კულტურის ასოციაციის თავმჯდომარე ვოლქან ქარაუჩოღლუ გოგიტიძემ, რომელიც სიხარულს ვერ მალავდა

- ჩვენი გურჯი ნანა მოვიდა, ჩვენი გურჯი გოგო, - შემომეხვივნენ, მკოცნიდნენ, მეფერებოდნენ, მეუბნებოდნენ, რომ მოვენატრე და ბედნიერები არიან ჩემი კვლავ ხილვით. - მეც ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სიყვარული შეგიძლიათ, რომ ასე ქართველობთ, - ვიმეორებდი და ყელში ბურთივით მებჯინებოდა სიხარულისა და სევდის ცრემლები.

ორდუში მცხოვრები ქართველები რამდენიმე თვის წინ გავიცანით მე და ჩემმა კოლეგებმა გაზეთ „აჭარიდან". ამის შესაძლებლობა გაზეთის დიდმა მეგობარმა, ჩვენებურმა ოსმან ჩალიშქან მჟავანაძემ მოგვცა, როცა გაზეთის 103-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით საჩუქარი გაგვიკეთა. მინდა „აჭარის" სახელით მას კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა იმ საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრის ორგანიზებისთვის.

ორდუში, ჩვენებურების გაცნობის შემდეგ, სულ მქონდა მონატრების განცდა, სულ მახსენდებოდა მათთან შეხვედრისა და ერთად ყოფნის ბედნიერი წუთები. ვიცოდი, აუცილებლად დავბრუნდებოდი მათთან და ბედნიერი ვარ, რომ ასეც მოხდა.

კალანდის დღესასწაულზე დამპატიჟეს, რომელსაც პირველად ატარებდნენ და განსაკუთრებით მოემზადნენ. აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის წევრებთან ერთად გავემგზავრე ორდუში. გამიჩნდა განცდა, რომ როგორც უდაბნოში მყოფს - წყალი, ისე გვჭირდებოდა მათი სითბოსა და სიყვარულის მიღება, მათ კი ჩვენი. კალანდაზე მოწვეულ უამრავ სტუმარს ამ დღის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ, საგანგებოდ მოამზადეს ქართული კერძები, რათა ყველასთვის ეცნობებინათ, რა მდიდარი ტრადიციისა და კულტურის ქვეყანაა საქართველო, რომელსაც უცხო მიწაზე ასეთი რუდუნებით ეფერებიან, უყვართ და ეძვირფასებათ. მათ საქართველოსგან მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ, უპირველესი სურვილი კი საქართველოს მოქალაქეობის მიღებაა. მჯერა, ეს სურვილი მალე შეუსრულდებათ, იმსახურებენ საკუთარი ფესვების, წარსულის ასეთი პატივისცემისა და სიყვარულისთვის. არასოდეს დამავიწყდება დარბაზში მყოფი ჩვენებურების სიხარულიანი, ამავდროულად, სევდიანი მზერა და ძლივს შეკავებული ცრემლები ქართული სიმღერისა და ცეკვის შემდეგ. მათი განწყობა ერთიორად აამაღლა ნანა სარდალაშვილის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ერისეული". გოგო-ბიჭებმა ნამდვილი ქართული ცეცხლი დაანთეს სცენაზე. გულის ამაჩუყებელი იყო პოეტ გულო გაბაიძის ჩვენებურებისადმი მიძღვნილი ლექსი. მან განსაკუთრებით გაახარა მასპინძლები, როდესაც თავისი ხელით შეკერილი ყაბალახები უსახსოვრა.

- სულ ვეძებდი გზებს, რომ მენახა არა დაკარგული, არამედ შენახული ქართველობა. ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა, ჩემ მიერ შექმნილი ყაბალახები საჩუქრად გადამეცა თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის - ჩვენებურებისთვის. ამით ვეუბნებით, რომ ქართული სული უნდა ყვაოდეს ყველგან. ჩვენ ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ ამ ურთიერთობის გაღრმავებასა და გამრავალფეროვნებას, - გვითხრა გულო გაბაიძემ.

გულთბილი მასპინძლობისთვის, უანგარო სიყვარულისთვის ვოლქან ქარაუჩოღლუ გოგიტიძესა და ორდუში მცხოვრებ ყველა ჩვენებურს მადლობა გადაუხადა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობებისა და ღონისძიებების კოორდინატორმა მერი დიასამიძემ. იგი ჩვენებურებს მუდმივ მხარდაჭერას შეჰპირდა.

- მინდა, ჩემს საქართველოს ვთხოვო, რომ ყველა ერთად, როგორც შეგვიძლია, მაქსიმალურად დავუდგეთ გვერდით ამ ადამიანებს, თუკი გვინდა, თურქეთში მცხოვრებმა ექვსმა მილიონმა ქართველმა იქართველოს და აკეთოს ქართული საქმე აქ - თურქეთში. მადლობას ვუხდი ბატონ ვოლქანს, მის მშვენიერ მეუღლეს, ყველა მასპინძელს, სტუმარს, ვინც ორდუში კალანდა ნამდვილ დღესასწაულად აქცია. მჯერა, არაერთხელ მოგვეცემა ერთმანეთის ნახვის, ერთურთისთვის სიყვარულისა და სითბოს ჩუქების შესაძლებლობა. ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება და ყველამ თითო აგური უნდა დავდოთ არსებული კავშირების კიდევ უფრო გასამყარებლად, - აღნიშნა მერი დიასამიძემ.

მეც, როგორც ერთი რიგითი ქართველი და ჟურნალისტი, დავპირდი ჩვენებურებს, რომ ყველაფერს გავაკეთებდი იმისათვის, მათი ხმა მეტად რომ ისმოდეს საქართველოში. მჯერა, კიდევ უფრო სიღრმისეული ურთიერთობით გავდებთ სიყვარულის ისეთ მყარ ხიდებს, რომელზეც ჩვენი შთამომავლები უშიშრად და სიამაყით ივლიან. საქართველო უნდა გაუფრთხილდეს და მოეფეროს თითოეულ ქართველს, ჩვენებურს, რომლებიც გულით სამშობლოს უდიდეს სიყვარულს დაატარებენ.

დასასრულ მინდა, ბატონი ვოლქანის სურვილები გაგიზიაროთ, ადამიანისა, რომელიც ყველაზე მეტად ფიქრობს, რა შეიძლება გაკეთდეს საიმისოდ, რომ ორდუში მცხოვრებ რაც შეიძლება მეტ ქართველს მოუნდეს ქართული ენის, ქართული ცეკვისა და სიმღერის შესწავლა.

- პირველ რიგში, აქ ჩამობრძანებისთვის დიდ მადლობას გიხდით. მოდით და ღონისძიება სასიამოვნო გახადეთ, ჩვენი გულები სითბოთი და სიყვარულით აავსეთ. ჩვენ კავკასიური კულტურის ასოციაცია გვაქვს, სადაც ორდუში მცხოვრები ქართველები ვართ გაწევრიანებული, ადამიანები - ქართული ფესვებით, რომლებიც ვცდილობთ საქართველოსთან, ქართველებთან, ჩვენს დებსა და ძმებთან კიდევ უფრო დაახლოებას, ურთიერთობების გაღრმავებას. სამწუხაროდ, ჩვენი - ქართული ადათ-წესები დავიწყებულია აქ, მოხუცებსაც კი არ ახსოვთ, ამიტომ ჩვენ, მეგობრებთან ერთად, ქართული კულტურის, ტრადიციების, ცეკვების აქაურებისთვის გაცნობა გვინდა. გვსურს, მომავალმა თაობამ დაინახოს და შეიგრძნოს, საიდან მოვდივართ, სად არის ჩვენი ფესვები, როგორი კულტურა გვაქვს, რათა მოუნდეთ ქართული ენის სწავლა, ის, რაც ჩვენი და მშობლიურია, დავიწყებას რომ არ მიეცეს. ამისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ. ასოციაციაში ქართული ენის კურსები გავხსენით, ქართულად წერა-კითხვას ვსწავლობთ. ასევე გვინდა, ქართული კერძები დააგემოვნონ აქაურებმა, გაეცნონ იმ მდიდარ სამზარეულოს, რაც საქართველოს აქვს. ძალიან გვინდა ცეკვის კურსების გახსნა. თურქეთში კავკასიური ცეკვის მასწავლებლის პოვნა ძნელი არაა, ოღონდ ქართული ცეკვა განსაკუთრებულია და ამიტომ საქართველოსთან რამდენიმე თხოვნა გვექნება. თუკი ჩვენ წინაპრების კულტურის გაცოცხლებისთვის ვიბრძვით, საქართველოც ამ ძალისხმევაში გვერდით უნდა დაგვიდგეს. მჯერა, ერთობლივად ყველაფერი გამოგვივა. იქნებ მოხერხდეს, რომ მუსიკის მასწავლებელი გამოგვიგზავნონ, თავად დაასპონსორონ. ჩვენს ქორწილებში ნეფე-პატარძალს ჩოხები გვინდა ეცვას და ამაშიც ხელს თუ შეგვიწყობენ, ძალიან გაგვახარებენ. გვაქვს მცდელობები, მაგრამ მარტო ამას ვერ შევძლებთ, ქართველი მეგობრები თუ არ დაგვეხმარებიან. უფლის წყალობით, თუ ცეკვის ჯგუფი ჩამოყალიბდა, მას „თიბერეთს" დავარქმევთ. ჩვენ აქ რამეს თუ ვხსნით, ძველ ქართულ სახელებს ვაცოცხლებთ. კიდევ ერთხელ ვთხოვთ საქართველოს დახმარებას. ქართველები რომ ვართ, სისხლი ერთი რომ გვაქვს, ამიტომ გვინდა თქვენთან სიახლოვე. გვინდა, უკეთ გაგვიცნონ საქართველოში მცხოვრებმა ქართველებმა. შეიძლება იმათ, ვინც მუდმივად სამშობლოში ცხოვრობენ, ვერ გაიგონ ჩვენი მისწრაფება, გულის წადილი, მაგრამ ჩვენში ყველაფერ ქართულისადმი ისეთი ამოუწურავი სიყვარულია, ვფიქრობ, გაგრძნობინებთ იმას, რასაც გულწრფელად განვიცდით. ჩვენი სურვილია, მასწავლებლები, ხელოვანი ადამიანები, ქართველი მზარეულები (3 ან 5 ადამიანი - ჯგუფში) გამოაგზავნონ საქართველოდან. როგორც საქართველოში ინიშნებიან საჯარო მოხელეებად, ისე უნდა დაინიშნონ აქ. საქართველოს ამის ძალა და რესურსი, ვფიქრობ, აქვს. ამით არა მარტო ქართველები, სხვებიც გაიცნობენ ქართულ კულტურას, ტრადიციებს, ქართულ სამზარეულოს, ეს ყველაფერი კი უფრო საინტერესოს გახდის ჩვენს ურთიერთობებს. ქართველობა, ქართული კულტურის მსახურება ჩვენ გვაბედნიერებს. ქართველობა ბაბუებიდან, მამებიდან ვისწავლეთ. ეს ჩვენთვის სიწმინდეა და სულიდან მოდის, ამას ვერ შევაჩერებთ. რომ დაგვიჭირონ, მოგვკლან, ქართველობაზე უარს არ ვიტყვით. თუ ადამიანი უღალატებს წინაპრებს, კულტურას, ის ადამიანობას კარგავს, - გვითხრა ვოლქან ქარაუჩოღლუ გოგიტიძემ.

კალანდის ღონისძიებას ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები, ქალაქ ორდუს მერი, ორდუს სხვადასხვა ასოციაციის თავმჯდომარეები და სხვა მრავალი სტუმარი ესწრებოდა.

საღამო მიჰყავდა ცნობილ ჟურნალისტ ორდუდან ილმაზ ბიბის, რომელმაც დარბაზში დამსწრე საზოგადოებას ქართულ ტრადიციებზე, ხელოვნებასა და კულტურაზე არაერთი საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა. მადლობის სიგელები გადმოგვეცა ბათუმიდან მიწვეულ ყველა სტუმარს.

ერთმანეთს ცრემლიანი თვალებით და იმ პირობით დავემშვიდობეთ, რომ აუცილებლად კვლავ შევხვდებით.

მსოფლიო ჩემპიონატზე ევროპის სახელით იასპარეზებენ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

დასახელდა 2025 წლის ევროპის ნაკრების სია კონტაქტურ კარატეში. ამ ნაკრებში სპორტსმენები ცხრა ქვეყნიდან მოხვდნენ და ყველაზე მეტი - საქართველოდან

ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება მსოფლიო ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში, რომელიც წელს ტოკიოში მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში ჩატარდება. მასზე ევროპის კონტინენტი კარატისტებს თითოეულ წონით კატეგორიაში წარადგენს, სადაც ოთხ-ოთხი სპორტსმენი ეყოლება, ანუ ამ მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეყანა კი არ წარადგენს თავის სპორტსმენს, არამედ ევროპა, რომლის ნაკრებში ხვდებიან წარმატებული კარატისტები. ეს ის სპორტსმენებია, რომლებმაც ამა თუ იმ მნიშვნელოვან ტურნირზე საპრიზო ადგილები დაიკავეს და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია მოიპოვეს.

როგორც აჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა, საქართველოსა და აჭარის კონტაქტური კარატეს ნაკრებების მთავარმა მწვრთნელმა ლევან ცინცაძემ გვითხრა, ჩემპიონატზე კარატისტები ხუთ-ხუთ კატეგორიაში გამოვლენ - როგორც ბიჭები, ისე ქალები. მონაწილეთა შორის ყველაზე ბევრი სპორტსმენი საქართველოდანაა, რაც პირველი შემთხვევაა.

- ისინი არა საქართველოს, არამედ ევროპის სახელით იასპარეზებენ. რიცხოვნობით ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა - ცხრა სპორტსმენი გვყავს, ამდენივეა ლიეტუვადან, მაგრამ მათ უფრო მეტი გოგონების კატეგორიაში ჰყავთ. საქართველოდან შვიდი მამაკაცია: მინდია მგელაძე (-60 კგ-მდე წონით კატეგორიაში), რომელმაც შარშან ვალენსიაში, ევროპის ჩემპიონატზე, ჩემპიონობა იზეიმა, ლაშა შანთაძე ასევე - 60 კგ წონით კატეგორიაშია. მან ევროპის თასზე მესამე ადგილზე გასვლით ლიცენზიის მოპოვება შეძლო. ლიცენზია მოიპოვა ანდრეი დიმჩენკომ -70 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, როცა ვალენსიაში ევროპის ჩემპიონი გახდა. მართალია, დათა ფუტკარაძემ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, ევროპაზე ვერ იასპარეზა, მაგრამ ლიცენზიის მოპოვება მაინც შეძლო, როცა ევროპის თასზე იასპარეზა ანტვერპენში. ასე რომ, 70 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ანდრეი დიმჩენკო და დათა ფუტკარაძე სხვებთან ერთად იასპარეზებენ. მინუს 80 კილოგრამამდე კატეგორიაში ლაშა ოზბეთელაშვილი გამოვა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი დაისაკუთრა. -90 კგ-ში ბათუმელი დავით მსხალაძე იასპარეზებს, რომელიც ამ წონაში ევროპის ჩემპიონი გახლავთ, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში კი გოდერძი კაპანაძე, ამ უკანასკნელმა ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე ჩემპიონობის მოპოვება შეძლო და ლიცენზიას დაეუფლა. რაც შეეხება გოგონებს, გვყავს ორი სპორტსმენი. ერთია მარიამ წიკლაური - ევროპის ახალგაზრდა ჩემპიონი, რომელმაც დიდებში გადასვლისთანავე შეძლო ევროპის ჩემპიონობის მოპოვება. მან ფინალში ქართველ თეონა გაზდელიანს მოუგო, რომელიც ესპანეთის ბარსელონის კლუბში მოღვაწეობს, თუმცა თეონა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საქართველოს სახელით ასპარეზობს. ქართული ფინალი შედგა, სადაც მარიამ წიკლაურმა იმარჯვა და ლიცენზია მოიპოვა. მართალია, თეონა ლიცენზიის გარეშე დარჩა, მაგრამ მოგვიანებით მასაც მიეცა ლიცენზიის მოპოვების შანსი - ევროპის თასზე ანტვერპენში, -54 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი აიღო, ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და საქართველოდან მეცხრე ლიცენზია აიღო, - გვითხრა ლევან ცინცაძემ.

აღსანიშნავია, რომ ამ ცხრიდან ხუთი სპორტსმენი ბათუმიდანაა: მინდია მგელაძე, ლაშა შანთაძე, დათა ფუტკარაძე, დავით მსხალაძე, გოდერძი კაპანაძე. დანარჩენი ოთხი თბილისელია: მარიამ წიკლაური, თეონა გაზდელიანი, ლაშა ოზბეთელაშვილი და ანდრეი დიმჩენკო. სწორედ ესენი იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონატზე.

როგორც ლევან ცინცაძემ აღნიშნა, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი სპორტსმენები სხვა ღონისძიებებისთვის მოემზადებიან. პატარები აქ იასპარეზებენ, დიდები კი საქართველოს ღირსებას საერთაშორისო ტურნირებზე დაიცავენ: სომხეთში, ყაზახეთში, ბარსელონაში (ესპანეთში), იტალიაში. შემდეგ ადგილობრივი შეკრება ექნებათ და ერთი კვირით ადრე იაპონიაში გაემგზავრებიან მთავარ შეჯიბრზე - მსოფლიო ჩემპიონატზე. წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს!

თემურ კახიძე საქართველოს ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

18-19 იანვარს თბილისში, საბილიარდე კლუბ KIT CLUB-ში ვეტერან მობილიარდეთა (60+) შორის საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა

კომპანია Europe Georgia Consulting LLC-ის პატრონაჟით ორგანიზებულ ჩემპიონატში საუკეთესოდ იასპარეზა ბათუმელმა ვეტერანმა მობილიარდემ, აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა, პირამიდის ევროპის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა (ეს წოდება მას შარშან მიანიჭეს) თემურ კახიძემ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილი თბილისელმა როსტომ მაჩაიძემ აიღო, კახა გიგაურმა და ვახტანგ შანიძემ (თბილისი) ბრინჯაო დაისაკუთრეს.

ვეტერანთა ტურნირი შარშან ორჯერ ჩატარდა. თემურ კახიძე პირველი იყო ოქტომბერში გამართულ ტურნირზეც, თუმცა აღნიშნულ ტურნირში საერთაშორისო კლასის ოსტატი თბილისელი როსტომ მაჩაიძე არ მონაწილეობდა. მას თემურ კახიძე სხვადასხვა შეჯიბრში ხშირად ხვდება ფინალში. ამ ჩემპიონატის შემდეგ, დეკემბერში, ვეტერანთა შორის ღია ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ფინალში როსტომ მაჩაიძეს შეხვდა, დამარცხდა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

გასული წლის დეკემბერში ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელმა თბილისში, „კიტ კლაბში“ ტურნირის ჩატარებისა და დაფინანსების სურვილი გამოთქვა.

წლევანდელ ტურნირზე 23 ვეტერანი შეიკრიბა, რომლებიც კომბინირებულ პირამიდაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მასში ბათუმიდან მხოლოდ თემურ კახიძე ჩაერთო. ტურნირის საპრიზო ფონდი დაახლოებით 2000 ევრო იყო, რომელიც 8 კაცზე გადანაწილდა. ფინალამდე დაუმარცხებლად მივიდა ორი მობილიარდე - თემურ კახიძე და როსტომ მაჩაიძე. თემურ კახიძემ ანგარიშით 3:1 დაამარცხა მეტოქე და თასი დაისაკუთრა. მესამე ადგილზე კახაბერ გიგაური და ვახტანგ შანიძე გავიდნენ.

ვეტერანთა ტურნირს ბილიარდში საფუძველი თავად თემურ კახიძემ 2014 წელს ჩაუყარა, როცა ბათუმში პირველი ტურნირი ჩატარდა. შარშან მეათე საიუბილეო ტურნირი ჩაატარეს. მასში 60 წელს ზევით ასაკის ვეტერანები მონაწილეობდნენ. ყველაზე უხუცესი მონაწილე 87 წლის მურმან ერქომაიშვილი გახლდათ.

- ამ ტურნირზე ვეტერანები მთელი საქართველოდან ჩამოდიან, რაც ძალიან გვახარებს და მას საინტერესოს ხდის. ამჟამინდელ ტურნირში ვეტერანები ქუთაისიდან, სენაკიდან, რუსთავიდან, თელავიდან, თბილისიდან მონაწილეობდნენ. ადრე წელიწადში ერთხელ ტარდებოდა, ახლა კი, ბათუმის შემდეგ, თბილისმაც დაიწყო ღია ჩემპიონატის ჩატარება, აღნიშნული კომპანია კი ტრადიციულს გახდის და შესაძლოა, წელიწადში სამი ტურნირიც გაიმართოს. სხვათა შორის, კახეთის რწმუნებულმაც გამოთქვა ასეთი ტურნირის ჩატარების სურვილი, იქაურ მობილიარდეებს თელავის სასპორტო სკოლაში სახელმწიფოს მიერ გახსნილი ბილიარდის კლუბი აქვთ. უკვე საქართველოს ჩემპიონიც და პრიზიორიც ჰყავთ, - გვითხრა თემურ კახიძემ.

როგორც ბატონმა თემურმა გვითხრა, აჭარა წელს, სავარაუდოდ, ისევ უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს პირამიდაში და, საერთოდ, საუბარია იმაზე, რომ ეს ტურნირი ბათუმში ტრადიციული გახდეს. ამას გარდა, იგეგმება ჩემპიონატი პულში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ბილიარდის საბჭოს ეგიდით ტარდება. წელს ამ ტურნირს სტატუსი აუმაღლეს და მას ახლა ეწოდება აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესოთა ტურნირი - პულში. ეს ტურნირი წელიწადში ოთხჯერ ტარდება და აქედან ერთ-ერთს ბათუმი ზაფხულში უმასპინძლებს.

მობილიარდეებს წინ საინტერესო წელი ელით. ხვალ ისინი პრაღაში მიემგზავრებიან (ორი ბათუმელი და ერთი თელაველი მობილიარდე), სადაც სენიორთა ევროპულ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას პირამიდაში. იქ ბატონი თემური არა მხოლოდ როგორც მობილიარდე, არამედ პირამიდის ევროპის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის სახელითაც მიემგზავრება და ფედერაციის სესიაში მიიღებს მონაწილეობას.

ვეტერანთა შემდეგ ჩემპიონატს, ტრადიციულად შემოდგომაზე, ბათუმი უმასპინძლებს.

როგორ აღმოჩნდა სომეხი გოგონა აჭარის მთიანეთში, ანუ ტრაგიკული დასაწყისის ბედნიერი დასასრული

მე-6 გვერდიდან

წლებს თავისი გააქვს. 90 წელს მიტანებული ვართანუში ახლა მხოლოდ სამზარეულოში ფუსფუსებს. სოფელში კარგი მზარეულის სახელი აქვს. რძალსაც აჭარული კერძების მომზადებას ასწავლის. ხუმრობით სომხური ტოლმა რომ ვუხსენეთ, ღიმილით გვიპასუხა:

- ვინ მასწავლიდა სომხური კერძების მოზადებას?! აჭარა, საქართველოა ჩემი საფიცარი, ასე იყო და ასე იქნება, ვიდრე წუთისოფლიდან წავალ. ახლაც ღუმელზე შემოდგმულ კარდალაში „ლეჩერი“ თუხთუხებს. მისი მომზადების საუკეთესო რეცეპტი მაქვს. რძალსაც კარგი ხელი აქვს. გაზაფხულზე ბაღჩა-ბაღში გასვლასაც ვერავინ ასწრებს, შემოდგომაზე - მოსავლის დროულად დაბინავებას. გრიგოლი ოჯახის ბურჯია. შეშა-კვარს, პირუტყვისთვის საჭირო უხეშ საკვებს დროზე მოიმარაგებს, საზამთროდ პურის ფქვილსა და შაქარს, ნავთს, სხვა პირველადი მოთხოვნის საქონელს თოვლის დადებამდე იყიდის ხოლმე. მეზობლებშიც და სოფლის გარეთაც კარგი ავტორიტეტი აქვს. ხშირად ვეუბნები, მამაშენის ასლი ხარ-მეთქი. მიხარია, რომ დოდოსთან ერთად შვილებს, ჩემი ალის მსგავსად, კარგ ქართველებად ზრდის.

ვართანუში ხალისს არ კარგავს. კარგად იცის მშობლიურად ქცეული ლომანაურის ისტორია. დიდი სიამოვნებით მოგვითხრობს, რომ აქაური შოთა ფუტკარაძე პირველი შუახეველი იყო, რომელმაც წინა საუკუნის 60-იან წლებში, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ახლა სოფელში რამდენიმე მეცნიერია. საამაყოდ ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის წარმატებებიც საკმარისია. ლომანაურელებმა სოფლის შემოსასვლელში ხსოვნის მემორიალი გააკეთეს. ვართანუში იქ ავლა-ჩამოვლისას ცრემლს ვერ იკავებს, სტენდიდან ხომ მათი სახეები ცოცხლდება, რომლებმაც მის ცხოვრებაში სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი და წუთისოფელი ნაადრევად დატოვეს.

ვართანუში შუახევის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ყოფილ უფროს რაჟდენ ფუტკარაძეს მადლობას უხდის არაერთი დახმარებისთვის.

- წინა საუკუნის 50-იანი წლებისა და ახლანდელ ლომანაურს ერთმანეთს რომ ვადარებ, სიამაყის გრძნობა მიპყრობს. სოფელში მოასფალტებული გზა შევიდა. ყველა ობიექტი, მათ შორის სკოლაც, რომელიც ახალ შენობაშია, გამართულად მუშაობს, - ამბობს იგი. ასაკში შესულს, წნევა თავს რომ შეახსენებს, ექთანი დაძახებისთანავე მასთან ჩნდება. ერთ ამბავზე სტკივა გული - სიდუხჭირის, სირთულეების დროს მისი თაობის ადამიანებს სოფელი არ მიუტოვებიათ, ახლა კი გამოკეტილი სახლი და უპატრონოდ მიტოვებული ეზო მომრავლდა. გრიგოლსა და დოდოს თხოვს, მისი და ალის ნაამაგარი უპატრონოდ არ მიატოვონ.

მიუხედავად ცხოვრებაში განცდილი დიდი ტკივილებისა, ვართანუში მუდამ თავშეკავებული და კმაყოფილია, დროსა და გარემოებებს ფეხს უწყობს, არ ივიწყებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძის, შუახევის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ემზარ აბაშიძის ყურადღებასაც, რომლებიც დედისა და ქალთა კვირეულის დღეებში ოჯახში მისულან და დღესასწაულები მიულოცავთ. ბავშვივით უხარია, რომ მის განვლილ გზას აფასებენ. მოფერება სიცოცხლეს უხანგრძლივებს. საღამოს მზე გორებს რომ მიეფარება, თვალი ჭიშკრისკენ გაურბის. სტუმარს ელოდება, რომელიც ოჯახს არც აკლია.

- ჩიტი სადაც ბუდეს გაიკეთებს, იმ ტერიტორიას მშობლიურად მიიჩნევს. სომხური ადათ-წესებით ერთი დღეც არ მიცხოვრია. მეამაყება, რომ ზოიძის გვარს ვატარებ, რომ 90-წლიანი ცხოვრების გზაზე გვერდით ქართველები მედგნენ. მათ ჩემი აუტანელი, მწარე ბავშვობა დამავიწყეს. მეც ხომ შემეძლო, თუნდაც ქართულ სკოლაში მესწავლა... თქვენი გაზეთით ყველას მინდა მოვუწოდო, გვიყვარდეს ერთმანეთი, ჭირიც და ლხინიც გავიზიაროთ, ჩემს ლომანაურელებს კი მადლობას ვეტყვი, ქართული სიტყვა, ქართველობა რომ შემაყვარეს. ღვთის შეწევნით, დარჩენილ წლებსაც მათ გარემოცვაში, მშვიდობით და სიყვარულით გავატარებ, - გვითხრა დამშვიდობებისას ხანდაზმულმა ქალბატონმა.

„იმატა ლექსის დამწერმა და იკლო მკითხველმა“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია ახალგაზრდა შემოქმედი, პოეტი, პედაგოგი, ცხმორისის სკოლის დირექტორი ***პაატა აბაშიძე.*** *მისი ლექსები საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში იბეჭდება და პოეზიის მოყვარულებში (და არამხოლოდ) დიდი პოპულარობით სარგებლობს. იგი ორი კრებულის ავტორია - „წერტილის შემდეგ საკითხავი“ და „იქნებ“... როგორც თავად გვითხრა, ამჟამად რომანზე მუშაობს, რომელიც სათავგადასავლო, სასიყვარულო და რეალურ ამბებს ასახავს.*

- ბატონო პაატა, როდის დაიწყეთ ლექსების წერა?

- დამამთავრებელ კლასებში, მერე დიდხნიანი პაუზა მქონდა, რადგან არ იყო ის ლექსები ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში განვაახლე და ახლაც „წუთშესვენება“ მაქვს აღებული.

- როგორია თქვენი შემოქმედებითი პროცესი, რა გეხმარებათ იდეების ჩამოყალიბებაში?

- ალბათ, ბანალურია, მაგრამ გეტყვით - დოზაზე მეტი ემოცია: სიხარული (რაც იშვიათია), მწუხარება, სევდა... ეს უნდა განიცადო, რომ დაწერო. სხვანაირად ლექსი მჩატეა და ცარიელი. ამას შენ - ვერა, უფრო მკითხველი ხედავს. ხვდება, რა მდგომარეობაში, სიტუაციაში, რა განწყობით დაგიწერია და მიაქვს გულამდე. თუ ეს არ ჩანს, მაშინ გულთან მისვლამდე არტერიებში ჩაიკარგება და ამ სისხლის სატუმბ ორგანოში ვეღარ იმკვიდრებს ადგილს.

- თქვენი აზრით, რა არის მთავარი პოეზიაში - ფორმა, შინაარსი თუ ემოცია?

- ეს აუცილებლობებია, რომელიც თან უნდა დაჰყვებოდეს ლექსს. თუ სრულყოფილ ლექსს ვითხოვთ, თანაბრად სჭირდება სამივე. არსებობს კიდევ სხვა ელემენტებიც, თუმცა ეს სამი ძირითადია.

- როგორ აისახება თქვენი ყოველდღიური ცხოვრება და გამოცდილებები ლექსებში?

- ვფიქრობ, ყველაფერი საკმარისად გადამაქვს ლექსში. ძირითადად, ლირიკულია ჩემი ლექსები, რომლებშიც არსებული რეალობა გადამაქვს.

- როგორ ფიქრობთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს პოეზიამ ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე?

- აქაც ბუტაფორული პასუხით შემოვიფარგლები. უფრო დიდებსა და გენიოსებს ლექსი სიბრძნის დარგად აქვთ ახსნილი, ხომ? ჰოდა, პასუხიც ესაა - შეჰყავხარ სიღრმეში და რაც აქამდე მიჩქმალული გეჩვენა, ჩაგახედებს და დაგაფიქრებს. ნახავ, რომ რაღაც უნდა შეცვალო, გაითავისო, შენი „მე“ უნდა დახვეწო, რადგან პიროვნული პროგრესის პროცესია დაბადებიდან გარდაცვალებამდე პერიოდი.

- რა ადგილი უჭირავს პოეზიას თანამედროვე საზოგადოებაში?

- იმატა ლექსის დამწერმა და იკლო მკითხველმა. არ ვიცი, ეს რას გამოიწვევს, მაგრამ დრო გადააფასებს ხარისხს. ვინც ლექსის მოტრფიალეა, ეცნობა და იყენებს თანამედროვე პოეზიას.

- თქვენი ლექსები უფრო პირადი განცდების გამოხატვას ემსახურება თუ საზოგადოებისთვის ერთგვარი გზავნილიცაა?

- შეიძლება რაღაც მაგალითების მოხმობით ვიფიქროთ, რომ ორივე - საზოგადოებრივიცა და პირადიც, მაგრამ... უფრო პირადი განცდებია.

- პედაგოგი ბრძანდებით, საინტერესოა, თქვენს ლექსებს სასწავლო პროცესში თუ იყენებთ და როგორ რეაგირებენ მოსწავლეები?

- სიმართლე რომ ვთქვა, არასდროს გამომიყენებია საგაკვეთილო პროცესში ჩემი ლექსები. თემატიკის შესაბამისად, მეგობრების ლექსებს უფრო ვიყენებ. ვინც ინტერესდება, თვითონ ეცნობა, ხელმისაწვდომია. შეიძლება ზედმეტად თავმდაბლურად ჟღერს, მაგრამ არ მიყვარს, როცა თავად ვსაუბრობ საკუთარ ლექსებზე.

- არის თუ არა თქვენს შემოქმედებაში ლექსი, რომელიც ბავშვებს ან მოსწავლეებს მიუძღვენით?

- კი, რამდენიმე ლექსი მაქვს, პატარა ნოველებიც. ეს უფრო მეორე კრებულშია შეტანილი.

- როგორია პოეზიის როლი განათლებაში?

- ძალიან დიდი. პროფესიით ფილოლოგი ვარ, ეს ორი საქმე ავსებს ერთმანეთს.

- როგორც ვიცი, რომანზე მუშაობთ...

- დიახ, აქაც მინდა ვცადო ბედი. ჩემი რომანი სათავგადასავლო, სასიყვარულო და რეალურია. არ დამისრულებია, პროცესში ვარ.

- რას ურჩევთ ახალგაზრდა პოეტებს, რომლებიც საკუთარ გზას ახლა იწყებენ?

- ვუსურვებ მეტ გულწრფელობას და ახლის ძიებას. დიდად არ მსიამოვნებს უკვე დაწერილი ლექსების გადამღერება და ახლად „გასაღება“. „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“ - ამ ნიჭთან მისასვლელი გზა არის კითხვა, ბევრი კითხვა. ცურვა ისწავლება ცურვით, ცეკვა ისწავლება ცეკვით, წერა ისწავლება კითხვით!

რა უნდა ვიცოდეთ მეტაპნევმოვირუსზე?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბოლო პერიოდში მედიის და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ჩინეთში ადამიანის მეტაპნევმოვირუსის (hMPV) შემთხვევების ზრდამ. იგი ახალი ვირუსი არ არის - 2001 წელს აღმოაჩინეს და საკმაოდ ხშირად გვხვდება რესპირატორული სიმპტომების მქონე ადამიანებში. როგორც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ინფექციონისტი მაია ბუწაშვილი ამბობს, ზოგიერთ შემთხვევაში ამ ვირუსს შეუძლია ბრონქიტისა და პნევმონიის გამოწვევა, განსაკუთრებით - ბავშვებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებში, თუმცა უმეტესად მსუბუქად მიმდინარეობს (სურდო, ხველა და სხვა რესპირატორული სიმპტომები)

რაც შეეხება ჩინეთს, ამ მომენტისთვის ოფიციალური მონაცემებით, შემთხვევების რაოდენობა მომატებულია, თუმცა არ აღემატება სხვა წლებში დაფიქსირებულ შემთხვევათა რაოდენობას. მათივე ინფორმაციით, ჰოსპიტლებში მიმართვიანობაც არ არის განსაკუთრებულად მაღალი, თუმცა ზოგიერთები მაინც შიშობენ, რომ შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ეპიდაფეთქებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ მუდმივ კომუნიკაციაშია ჩინეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებებთან და ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფრთხის გამოცხადების საფუძველი არ არსებობს.

- ქალბატონო მაია, ამჟამად რომელი ვირუსული დაავადებები ვრცელდება ჩვენს მოსახლეობაში?

- ძირითადად - გრიპის ვირუსი. გრიპის სეზონი უკვე დაწყებულია, რომელიც, ჩვეულებრივ, თებერვლის ბოლომდე ან მარტამდე გრძელდება, თუმცა სხვა რესპირაციული ვირუსებიც ცირკულირებს, როგორებიცაა კორონავირუსი, რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი და ასე შემდეგ. შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი სტანდარტული სეზონია სტანდარტული რესპირაციული ინფექციებით. რაიმე განსაკუთრებული აღმავლობა წინა წლებთან შედარებით არ არის. ჩვეულებრივ, დეკემბერსა და იანვარში არის რესპირაციული სეზონური ინფექციების პიკი და წელსაც ასეა.

- როგორ მიმდინარეობს ვირუსული ინფექცია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში?

- ყველაზე მეტად ზარალდებიან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები, ხანდაზმულები (65 წელს ზემოთ) და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები. ამ ასაკობრივ ჯგუფებში, როგორც წესი, ვირუსული ინფექციები უფრო მძიმედ მიმდინარეობს. ხშირია პნევმონიით გართულებები და შესაძლოა, ჰოსპიტალიზაციაც გახდეს საჭირო. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ განსაკუთრებით ეს ჯგუფები უნდა აიცრას შემოდგომით, ყოველწლიურად, სეზონური გრიპის ვაქცინით.

- არსებობს თუ არა რაიმე განსაკუთრებული რეკომენდაციები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მაღალი რისკის ჯგუფში შედიან?

- განსაკუთრებული რეკომენდაციაა ყოველწლიური ვაქცინაცია. ასევე, ამ სეზონზე სასურველია, რისკჯგუფები - მცირე ასაკის ბავშვები, ხანდაზმულები და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებს მოერიდონ ან ხალხთან კონტაქტისას პირბადე გამოიყენონ.

- ბოლო დროს ყურადღების ქვეშ მოექცა ჩინეთში გავრცელებული ადამიანის მეტაპნევმოვირუსი...

- ეს ვირუსიც ერთ-ერთი რესპირაციული ინფექციაა, თუმცა ჩინეთში ამ ვირუსთან დაკავშირებით რაიმე განსაკუთრებული ჯერჯერობით არ შეინიშნება. რადგანაც ჩინეთიდან დაიწყო კორონავირუსის პანდემიაც და დასაწყისში გამოითქვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩინეთი მალავდა რეალურ სტატისტიკას, ამიტომ ყოველთვის, როდესაც იქ რაღაც ვირუსული ინფექცია ვრცელდება, მაინც, გარკვეულწილად, ფრთხილობენ. ახლაც ასეა, თუმცა როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, ამ დროისთვის ჩინეთში რაიმე განსაკუთრებული აღმავლობა მეტაპნევმოვირუსის მხრივ არ შეინიშნება.

- რა გზით ვრცელდება ეს ვირუსი ადამიანებს შორის?

- ეს ვირუსიც, ისევე როგორც სხვა რესპირაციული ვირუსები, ადამიანიდან ადამიანზე ჰაერწვეთოვანი გზით გადადის, ამიტომ ამ დროს რესპირაციული ჰიგიენა თავის დასაცავად ძალიან მნიშვნელოვანია.

- რა ფაქტორები უწყობს ხელს მეტაპნევმოვირუსის ეპიდემიის განვითარებას?

- ზამთარში რესპირაციული ინფექციების გავრცელება უფრო მაღალია, ვინაიდან დახშულია შენობები, დახურულია კარ-ფანჯრები და ნაკლებად ნიავდება ოთახები. ეს არის რესპირაციული ინფექციების გავრცელების ერთ-ერთი ფაქტორი.

- რამდენად საშიშია ეს ვირუსი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, მაგალითად, ბავშვებსა ან ხანდაზმულებში?

- მეტაპნევმოვირუსი, ისევე როგორც სხვა რესპირაციული ვირუსები, განსაკუთრებით საშიშია 5 წლამდე ბავშვებში, ხანდაზმულებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებში, სადაც მაღალია პნევმონიით გართულების რისკი.

- არის თუ არა ამ ვირუსის საწინააღმდეგო კონკრეტული ვაქცინა, ან ინიშნება თუ არა მკურნალობა?

- ამ ვირუსის საწინააღმდეგოდ ვაქცინაცია არ არსებობს, არც სპეციფიკური ანტივირუსული მკურნალობა, პრევენციული მეთოდებიც არ აქვს. ნიღაბი, ხელების ხშირი დაბანა, შენობების განიავება... ესენია სტანდარტული პრევენციული მეთოდები.

- რამდენად მნიშვნელოვანია ვირუსის დროული გამოვლენა?

- დროული გამოვლენა მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ თუ მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტია, უნდა განხორციელდეს მონიტორინგი, გართულებების შემთხვევაში, მოხდეს შესაბამისი ჩარევა, მაგალითად, თუ ბაქტერიული პნევმონიით გართულდება, დროულად უნდა ჩატარდეს ანტიბიოტიკოთერაპია. დიაგნოსტიკა შესაძლებელია ნაცხის „პისიარ“ მეთოდით.

- არსებობს თუ არა მეტაპნევმოვირუსის გავრცელების რისკი საქართველოში?

- თუ ჩინეთში ვირუსის აფეთქება მოხდება და ეპიდემიურ ხასიათს შეიძენს, შესაბამისად, სხვა ქვეყნებში გავრცელების რისკიც არსებობს, მათ შორის, საქართველოშიც.

- რამდენად არის მზად ჯანდაცვის სისტემა ვირუსული ეპიდემიების კონტროლისა და მართვისთვის?

- კოვიდის შემდეგ დიდი გამოცდილება შეიძინა სხვადასხვა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომაც, თუმცა კოვიდის პანდემიის დროს, სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ, ვერ ვიტყოდი, რომ კარგად ისწავლა საკუთარ შეცდომებსა და მაგალითებზე. ამიტომ სრულად მზადყოფნას ნამდვილად ვერ ვიტყვით როგორც ეპიდემიოლოგიური, ასევე, კლინიკური კუთხით.

- რა ახალი კვლევები ტარდება ვირუსული ინფექციების პრევენციისა და მკურნალობის მიმართულებით?

- ამ მხრივ ახალი კვლევები მუდმივად ტარდება. მიმდინარეობს ვაქცინებზე მუშაობა სხვადასხვა ვირუსის წინააღმდეგ, ასევე, ანტივირუსული მკურნალობის ახალი მიმართულებების აღმოსაჩენად, რადგან ანტივირუსული მედიკამენტები ძალიან შეზღუდული რაოდენობით არსებობს. ამ ვაკუუმის შესავსებად მიმდინარეობს კლინიკური კვლევები ახალი მედიკამენტების აღმოსაჩენად და დასანერგად. ჯერჯერობით, ეფექტური ანტივირუსული მედიკამენტები გვაქვს გრიპის წინააღმდეგ, ასევე, ჰერპესის ჯგუფის ვირუსების წინააღმდეგ... სამწუხაროდ, კორონავირუსის, მეტაპნევმოვირუსის, რესპირაციულ-სენციტიური და მთელი რიგი ვირუსების წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული ანტივირუსული მედიკამენტები არ არსებობს.

უკანონო სახერხი საამქრო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, აჭარაში უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს. ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში მოქალაქეს დაურეგისტრირებელი ლენტური ტიპის სახერხი საამქრო საკარმიდამო ეზოში ჰქონდა მოწყობილი.

ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ლევან ოთარის ძე ქანთარია.
პანაშვიდი 24 I,5 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. №50.
გამოსვენება 25 I, 3 ს. წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრიდან.

ნინო ხაჭაპურიძე, გია ორაგველიძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ლევან ქანთარია
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „აჭარის“ კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/01/25, 17 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ბრძოლა – ბერი გაბრიელი“ – პირველი მხატვრული ფილმი ბერ გაბრიელზე

მალე ეკრანებზე მაყურებელი ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს „ბრძოლა - ბერი გაბრიელი“ იხილავს, რომლის რეჟისორი გიორგი კაჭარავაა. ფილმში მოქმედება 1960-იან წლებში ვითარდება და გადმოსცემს წმინდა მამა გაბრიელის, ანუ ერისკაც გოდერძი ურგებაძის განვლილ რთულ, მაგრამ შთამაგონებელ გზას ერისკაცობიდან - სალოსობამდე. ფილმში ასევე აღწერილია მამა გაბრიელის ფსიქიატრიულ კლინიკასა და ციხეში გატარებული დღეები. მთავარ როლს მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი ზურა ავსაჯანიშვილი ასრულებს. ფილმში ასევე მონაწილეობენ ვახო ნოზაძე, გიორგი ცაავა, ნინო ლეჟავა, გივი სიხარულიძე, დათო დვალიშვილი, ბესო ზანგური, დათო დარჩია, ნოდარ ხუციშვილი

რეჟისორსა და მსახიობებს ბათუმში, გადასაღებ მოედანზე ვესტუმრეთ და კომენტარი ვთხოვეთ.

გიორგი კაჭარავა, რეჟისორი:

- ფილმის გადაღების იდეა დაახლოებით 12 წლის წინ გამიჩნდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში დავწერე წიგნი „ვინ არის იესო ქრისტე“. აღმოჩნდა, რომ ეს წიგნი მამა გაბრიელმა წაიკითხა და როგორც მისმა სულიერმა შვილებმა მიამბეს, ამ წიგნის გამო მლოცავდა. ამის შემდეგ მცხეთაში გავიცანი დედა პარასკევა, რომელმაც მითხრა, რომ მამა გაბრიელს ჩემი წიგნი კელიაში ჰქონდა და მის წაკითხვას ყველას ურჩევდა. შემდეგ ბერი გაბრიელის შესახებ მომცა წიგნი. წავიკითხე თუ არა, მივხვდი, რომ ეს იყო ძალიან საინტერესო კინემატოგრაფიული ისტორია. გარკვეული პერიოდი დაგვჭირდა, ფაქტები რომ შეგვეგროვებინა, რადგან არ შეგვიძლია ვამტკიცოთ ის, რაც ზუსტად არ ვიცით. შემდეგ უკვე სცენარი დაზუსტებულ მასალებზე აიგო. ფილმის გადაღება ძალიან გართულდა, რადგან 12 წლის განმავლობაში ყოველწლიურად კინოცენტრისგან დაფინანსებაზე უარს ვიღებდით. თეა წულუკიანის კულტურის მინისტრობის პერიოდში, სცენარმა აქ გამართულ კონკურსში გაიმარჯვა და მითითებული თანხის 75%-იანი დაფინანსება მოიპოვა. მთავარი როლის შემსრულებლის შერჩევა ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ როდესაც ზურა ავსაჯანიშვილი ქასთინგზე მოვიდა, ყველა მივხვდით - სწორედ მას უნდა ეთამაშა მამა გაბრიელის როლი. ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულნი ვართ, ფილმი 2025 წლის 2 ნოემბერს, მამა გაბრიელის გარდაცვალების დღეს წარვადგინოთ, თუმცა შესაძლებელია უფრო ადრეც ვაჩვენოთ ეკრანებზე.

ზურა ავსაჯანიშვილი, მსახიობი:

- ამ პერსონაჟის თამაში ადვილი არ არის. მამა გაბრიელი არა მარტო ჩემთვის, მთელი საქართველოსთვის ძალიან საყვარელი ადამიანია. მე მხოლოდ მისი ეკლესიური ცხოვრების შესახებ ვიცოდი, მანამდე თუ ასეთი რთული და მტკივნეული გზა ჰქონდა გავლილი, ვერ წარმოვიდგენდი. ფილმში მთავარ როლს პირველად ვთამაშობ, თან ისეთი პიროვნების, როგორიც მამა გაბრიელი იყო. როლზე რომ დამამტკიცეს, სიხარულთან ერთად, შიშის და მორიდების გრძნობაც გამიჩნდა. ღვთის წყალობით, მგონი, რაღაც გამომდის, რაშიც ალბათ ბერი გაბრიელის სულიც მეხმარება. მეც ძალ-ღონეს არ ვიშურებ. შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, რეჟისორი, ბატონი გიორგი კაჭარავაც ძალიან მეხმარება, ერთ ისეთ ფრაზას მეტყვის, რომ მთელი დღის განმავლობაში ვფიქრობ იმ ფრაზაზე. ძალიან განათლებული ადამიანია, ბევრი რამ აქვს ცხოვრებისგანაც ნასწავლი. მარტივი და კომფორტულია მასთან მუშაობა, რადგან იცის, რასაც აკეთებს. მთავარია, მოუსმინო, ენდო და მიჰყვე ბოლომდე.

ლიკა კაჭარავა, რეჟისორის ასისტენტი:

- ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა თბილისში, მცხეთაში, ფოთში, სოფლებში - გრიგოლეთსა და შრომაში, ამჯერად ვიღებთ ბათუმში, სარფსა და გონიოს ციხეში. ამის შემდეგ, რამდენიმე დღით გავაგრძელებთ გადაღებებს თბილისში და დაიწყება ფილმის მონტაჟი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. ახლა ფინალურ სცენებს ვიღებთ. ძალიან დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიას და აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს ამ დიდ საქმეში ხელშეწყობისთვის. ეს პროექტი იქმნება მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის. მიუხედავად იმისა, რომ მივიღეთ დაფინანსება, ეს საკმარისი არაა, კიდევ გვაქვს თანხა მოსაძიებელი. იქიდან გამომდინარე, რომ ფილმი 1960-იან წლებს ასახავს, ძალიან რთულია იმ პერიოდის ობიექტების რეკვიზიტების დამზადება და ტანსაცმლის შექმნა. შესაბამისად, ანგარიში გავხსენით, სადაც მსურველები, როგორც საქართველოდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უკვე გვეხმარებიან და ჩართული არიან ამ საქმეში. ყველას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, რადგან ჩვენი ფილმისთვის ყველა ლარი მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფილმი, საქართველოს სახელით, დიდ სიტყვას იტყვის მსოფლიო ასპარეზზე.

ზღვის ქვებში ნაპოვნი ბედნიერება

*ემიგრაცია ყველა ადამიანისთვის მტკივნეულია, თუმცა ამ ტკივილს ზოგჯერ ახლავს საკუთარ თავში ნიჭისა და სხვა ახალი თვისებების აღმოჩენა. დღეს მინდა გაგაცნოთ ქალბატონი **ია თავაძე,** რომელმაც ემიგრაციაში აღმოაჩინა, რომ ქვებით ხატვა შეუძლია. დამღლელი დღის შემდეგ ყოველ საღამოს განტვირთვას ის სწორედ ამაში პოულობს, ქვებით ხატვისას ცოტა ხნით, მაგრამ მაინც ავიწყდება ტკივილი, რასაც ემიგრაცია ჰქვია.*

- მოგვიყევით, როგორ დაინტერესდით ქვებით ხატვით?

- ყველაფერი ტირენიის ზღვის სანაპიროზე ფერადი ქვების შეგროვებით დაიწყო. იტალიაში ემიგრანტი ვარ, ზღვაზე ვახლდი ბებოს, რომელთანაც ვმუშაობ და უეცრად ჩემი ყურადღება ზღვის ქვების ფერებმა მიიქცია. მათი აკრეფა დავიწყე და ამ დროს რაღაც ფიგურები დავინახე, ქვები იქვე ნაპირზე მივუწყვე ერთმანეთს და მშვენიერი ქალბატონის გამოსახულება გამომივიდა.

- რა არის თქვენი შთაგონების წყარო?

- მხოლოდ ქვა, რადგან ის მაძლევს მიმართულებას, რა უნდა შევქმნა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, იდეა მუშაობის დროს შემიცვლია და სულ სხვა დამიხატავს. იდეასთან ერთად საჭიროა ფანტაზია და თუ ეს არ გაქვს, ვერაფერს შექმნი. რითაც ვმუშაობ, ისინი უსულოდ ყრია მიწაზე, დიდი სითბოთი და სიყვარულით უნდა იყო განმსჭვალული, რომ სული შთაბერო ჩანაფიქრს. აფორიაქებული სრულყოფილად ვერ იმუშავებ.

- გაქვთ თუ არა განსაკუთრებული მიდგომა, როგორ აარჩიოთ ქვები ნამუშევრებისთვის?

- წინასწარ არ ვიცი, რას დავხატავ და არც განსაკუთრებული მიდგომა მაქვს. ზღვის სანაპიროზე როცა ვარ, ვცდილობ, ავკრიფო განსხვავებული და საინტერესო ქვები, თუმცა თითოეული ქვა საინტერესოა, მინიშნებას მაძლევს.

- ქვებს ამუშავებთ?

- ისედაც ფერადი და ხასხასა ქვებია, ამიტომ არ ვამუშავებ, თუმცა ყოფილა შემთხვევა, შემიღებავს. მაგალითად, ბავშვის ეტლისთვის ქვა ძალიან მუქი იყო და საჭიროდ ჩავთვალე, შემეღება. ასევე, ყვავილის დახატვის დროს საჭიროა ქვის შეღებვა, რათა რეალურს დაემსგავსოს.

- რა იყო თქვენი პირველი ნამუშევარი?

- ემიგრანტი ქალი - ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე. მახსოვს, როგორი მორიდებით და შიშით გავაზიარე ფეისბუქზე, მეგობრებისთვის. არ ვიცოდი, როგორ მიიღებდნენ, როგორი რეაქცია ექნებოდათ... მაგრამ ძალიან მოეწონათ. უმეტესობამ ჩემი ნახატების დახმარებით გაიგო ქვით ხატვის ხელოვნების შესახებ.

- რომელია თქვენი საყვარელი ნამუშევარი და რატომ?

- ყველა ნამუშევარი ძალიან მიყვარს, სად არ მამოგზაურეს ამ ჯადოსნურმა ქვებმა, მაგრამ მაინც გამოვარჩევ ნამუშევარს „ემიგრანტი დედა ოჯახში დაბრუნდა“.

- თქვენი ნამუშევრები პირადი ემოციით იქმნება?

- დიახ, ასეც შეიძლება ითქვას. ქვით ხატვისას ძალიან რთულია, ნამუშევარი დამაჯერებელი და ემოციური გამოვიდეს, მაგრამ მადლობა უფალს, გამომდის. პოზიტიური ადამიანი ვარ და ჩემი ყველა ნამუშევარი დადებით ემოციას იწვევს. ადამიანში ვეძებ კარგს, მომწონს, როცა ჩემ გარშემო ყველა ბედნიერია.

- იტალიაში გამოფენაც გქონდათ...

- დიახ, ქალაქ ნეაპოლში, ქართულ ბიბლიოთეკაში... გამოფენის მოწყობაში ქალბატონი მაკა ხაჩოშვილი დამეხმარა, რომელიც იქ ქართული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელია. ექსპოზიციაზე 40 ნამუშევარი გავიტანე. სტუმრებსა და ჩემს მეგობრებს ძალიან მოეწონათ. ისინი ფეისბუქზეც ნახულობდნენ ჩემს ნახატებს, მაგრამ რეალურად რომ დაინახეს, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ფეისბუქმეგობრებს, მათი მხარდაჭერა რომ არა, რომელიც თბილი სიტყვებით გამოიხატება, ამდენს ვერ შევძლებდი.

- რამდენი ნამუშევარი გაქვთ ამ ეტაპზე?

- 500-ზე მეტი ნამუშევარი მაქვს შექმნილი.

- თქვენი სამუშაო პროცესი...

- ქვით ხატვა იშვიათი და განსხვავებული ხელოვნებაა. ჯერ ვქმნი კომპოზიციებს და შემდეგ ხდება მათი დაწებება, რაც სიზუსტეს მოითხოვს. ქვა სწორად უნდა დადო, რომ ნამუშევარმა ხასიათი არ დაკარგოს. გულის სიღრმეში სულ მინდოდა, ხალხისთვის თავი

რაღაცით დამემახსოვრებინა, რამე ისეთი შემექმნა, რაც მათში ემოციას გამოიწვევდა. ზღვის ქვებში დავინახე ყველა ემოცია ერთად... როგორი სულისკვეთებითაც მიუდგები ნამუშევარს, ისეთ შედეგსაც მიიღებ. სულს და გულს ვდებ ყოველ ახალ ნამუშევარში, ამიტომაა, რომ ფეისბუქმეგობრები ვერ ფარავენ აღტაცებას და მოუთმენლად ელოდებიან. ამით კიდევ უფრო მოტივირებული ვხდები და ვცდილობ, რაღაც ახალი და განსხვავებული შევქმნა. ბედნიერი ვარ, როცა ჩემს საყვარელ ადამიანებს ვხატავ, ვცდილობ, მათ ვიზუალურადაც დავამსგავსო და, ვფიქრობ, ეს გამომდის.

- რას დაარქმევთ თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობას?

- ქვებში ნაპოვნ სულიერ სიმშვიდეს და ბედნიერებას.

- როგორ ხედავთ თქვენს მომავალს ამ სფეროში?

- ძალიან შემიყვარდა ქვით ხატვის ხელოვნება. ეს პაწაწინა ქვები მეხმარება, გადავიტანო რთული დღეები, რასაც ემიგრანტობა ჰქვია. ამ ქვების დახმარებით გადმოვცემ ჩემს ემოციებს. საკუთარ შემოქმედებას მომავალში უფრო განვითარებულს ვხედავ, ოღონდ - საქართველოში. ემიგრაციის დასრულების შემდეგ აუცილებლად გავხსნი სახელოსნოს და ამ საქმეს ჩემს საყვარელ ქალაქში გავაგრძელებ.

გვერდი მოამზადა
თამარ ლამპარაძემ